ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903–1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.
№51 (1489) 17–21 ოქტომბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## ზვიად გამსახურდია

დოკუმენტური ისტორია
ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა

ქვეყნდება პირველად



ვახტანგ გოგუაძე:
**ნოდარ ნათაძე ჩამოხრჩობას მპირდება**

ნოდარ ნათაძე:
**მხოლოდ კანონით, ბატონო ვახტანგ!**

მეოთხე გვერდი

ამირან კალაძე:
მე თუ რაიმე ისეთს მოვიმოქმედებ, რაც მოეწონება ედუარდ შევარდნაძეს, თავს მოვიკლავ...

ჯემალ ინჯია:
მე მუცელში მივიღე წიხლი...

აკაკი ვასაძე:
ჩვენი უბედურება ალია-გოიმების ბრალია...

ქვეყნდება პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# დოკუმენტური ისტორია ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა

### ღვთისა და ქვეყნის სამსჯავროზე

გაზეთმა „საქართველომ" 1996 წლის 10-14 ოქტომბრის ნომერში, რუბრიკით „ვინ იყო ვინ", დაბეჭდა გაზეთ „კომუნისტში" 1977 წელს გამოქვეყნებული წერილი „სარეველა" - ზვიად გამსახურდიას და მის ამხანაგთა „ხულიგნობის" შესახებ. რედაქცია აქვე აუწყებდა მკითხველს, რომ უახლოეს ნომერში გამოქვეყნდებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის კრების ანგარიში ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ.

დიახ, ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ნამდვილად არსებობს ასეთი დოკუმენტი, - ესაა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 1977 წლის 1 აპრილის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში (ფონდი №8, აღწერა 1, საქმე 2913).

სანამ მას გამოვიტანდეთ ქვეყნის სამსჯავროზე, გასაგები რომ გახდეს დღევანდელობისათვის, როგორც წარსულის გაკვეთილი - გაფრთხილება, მოვუხმობთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების გამონათქვამებს:

არსენი ამარტოელი გვმოძღვრავს: „ყოველი წერილი ძეგლი არის მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაი საუკუნოდ, რომელისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხვისა განქიქებად". ასევე გვაფრთხილებს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ქართლის მმართველი (სარდალი), გეოგრაფი და ისტორიკოსი, - აღმწერელი სამეფოისა საქართველოისა, ბატონიშვილი ვახუშტი: „მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტს; მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნილებასა და გმობს უკეთურთ ქმნილებასა; მატიანე მეტყუელებს ჭეშმარიტსა და არა სცბის".

მომიტევონ მათმა უკვდავმა სულებმა, თუ ჩვენი ეპოქის ისტორიის თვალთახედვიდან მცირე „შენიშვნას" გავუკეთებთ მათ გამონათქვამებს.

ალბათ, ისინი ვერც წარმოიდგენდნენ, თუ რა ყოფაში ჩავარდებოდა საქართველო მეოცე საუკუნეში, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში, როცა დავალების, ნებართვისა და „ზემოდან" მითითების გარეშე საჯაროდ არც არაფერი ითქმოდა და, მით უმეტეს, არც არაფერი დაიწერებოდა. ამ პერიოდში ყველაფერს მართავდა კომპარტიის შეუზღუდავი დიქტატურა: „პარტიამ სთქვა - ეს კანონია"; „პარტია მოითხოვს, ეს უნდა შესრულდეს". თუ ვინმე გადაუხვევდა ამ პრინციპს, ის გამოცხადდებოდა ხალხის მტრად, ქვეყნის მოღალატედ. ამიტომაც ამოწყვიტეს ასი ათასობით ღირსეული მამულიშვილნი, განსაკუთრებით ინტელიგენცია. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება „დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში".

ნუ დაგვავიწყდება ისტორიის სამსჯავრო!!!

ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ქვემოთ გამოქვეყნებული ზვიადის „საქმე", რომელიც შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის დავალებით, რათა „გამოეშკარავებიათ" მისი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, ამავე მიზანს ისახავდა იმ პერიოდში ზვიადის წინააღმდეგ პრესის ფურცლებზე გაჩაღებული ცილისმწამებლური კამპანია.

ვახტანგ გურგენიძე
ოქტომბერი, 1996 წელი

### ქვეყნდება პირველად

### სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა 1977 წლის 1 აპრილი

**თავმჯდომარეობს - გრიგოლ აბაშიძე**



*თავმჯდომარე* - ამხანაგებო, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ერთი ისეთი საკითხის განსახილველად, რომელზედაც ალბათ ეს დღეები ყველა თქვენგანი ფიქრობს.

თქვენ ყველა გაეცანით თქვენს პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს ჩვენი კავშირის წევრის ზვიად გამსახურდიას გარშემო.

ჩვენ, ყველანი, ბევრის მომსწრე ვართ, ბევრის მნახველნი, მაგრამ დიდი ხანია ასეთი უსიამოვნო შემთხვევა არა გვქონია. მას შემდეგ, რაც სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში ასეთი ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა და ასეთი წარმატება აქვს საბჭოთა ქვეყანას, მთელი საბჭოთა მწერლობა დარაზმულია ჩვენი პარტიის ირგვლივ და არ ყოფილა რაიმე ფაქტი რომელიმე ქართველი მწერლის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის შესახებ. უფრო მეტი კიდევ. ისეთი დიდი მწერალი ჩვენი დროისა, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია გახლავთ, რომელმაც ასეთი რთული გზა გაიარა, სრულიად დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, დაწერა ჩვენი დროისათვის სრულიად მოსაწონი ნაწარმოებები, დაწერა შესანიშნავი რომანი "მთვარის მოტაცება". მისი პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომლებიც იდგა საბჭოთა პოზიციებზე და ის მთელი თავისი შემოქმედებით ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის საქმეს. მოგეხსენებათ, ბოლოს კ. გამსახურდია ლენინური ორდენის კავალერიც გახლდათ და მრავალი ჯილდოსა და სახელმწიფო პრემიის მფლობელი.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ დღევანდელი ჩვენი სხდომა ეხება ზვიად გამსახურდიას, ჩვენი კავშირის წევრს. თქვენ იცნობთ გაზეთის მასალას. დღესაც ბლომად არის გამოქვეყნებული მასალა. ეს დღეები პრესა უთმობდა ადგილს იმ მასალებს, რომლებიც ეხებოდა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას.

ჩვენ მოგვმართა რესპუბლიკის პროკურატურამ - "სათანადო რეაგირებისათვის გეგზავნებათ"-(კითხულობს)- ეს მასალა მივიღეთ. პრეზიდიუმის წევრებმა გაიცნეს.

როგორც თქვენ ნახეთ და როგორც გაზეთები ადასტურებენ, ეს არის ანტისაბჭოთა პროპაგანდა. თქვენ მოგეხსენებათ მწერალთა კავშირის წესდება, რომლის მიხედვითაც მწერალთა კავშირის წევრებად ითვლებიან ისინი, ვინც მთლიანად დგანან საბჭოთა პოზიციებზე და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში. თუ კაცი ეწევა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ანტისაბჭოთა მოღვაწეობას, ის თავის თავს აყენებს ამ ორგანიზაციის გარეშე. თუ ჩვენ გვაერთიანებს კომუნიზმის მშენებლობა და მისი აქტიური მშენებლები ვართ, ეს არის ჩვენი სულის, ჩვენი მოწოდების ნაკარნახევი და თუ კაცი იბრძვის ამის წინააღმდეგ, ის თვითონ აყენებს თავის თავს ჩვენი ორგანიზაციის გარეშე, ალბათ, ის თვითონ არ სთვლის თავის თავს ჩვენი კავშირის წევრად.

აქ ბევრი მასალაა, მაგრამ მარტო ორს დავასახელებ ამ მასალიდან, ერთი გახლავთ "საქართველოს მოამბეში" გამოქვეყნებული პროკლამაცია, ანტისაბჭოთა პროკლამაცია, რომელიც მოსკოვში გაავრცელეს ფრანგმა და ნორვეგიელმა ტურისტებმა, რომლებიც ამის გამო დაპატიმრებული იყვნენ. ეს პროკლამაცია გადმობეჭდილია ამ "მოამბეში". მეორე, რამაც გულიატკინა ჩვენს ხალხს, ეს გახლავთ ფაშისტი გენერლის მაღლაკელიძის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებული მასალა, სადაც ქება-დიდებაა იმ კაცისა, რომელიც მოუძღოდა ფაშისტურ ლეგიონს და რომელიც ვითომ საქართველოს სრული განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

აი მოკლედ რაც მინდოდა მეთქვა.

ამხანაგები გამოთქვამენ თავიანთ აზრს და შემდეგ მოვუსმინოთ ზვიადს, როგორ გაიმართლებს თავს.

ძალიან სამწუხაროა ეს შემთხვევა, რადგან ჩვენ ასეთი შემთხვევა არასოდეს არ გვქონია. განსაკუთრებით ახლა, როცა რესპუბლიკას წარმატებები აქვს და როდესაც ამხანაგი ედუარდი მოვიდა ხელმძღვანელობაში, კონსტანტინე ერთი პირველთაგანი მიესალმა მას და კიდევ უფრო გასაკვირი და სამწუხაროა ეს შემთხვევა.

*ზვიად გამსახურდია* - რა იურიდიული საფუძველი აქვს ყველაფერ ამას, რით მტკიცდება?

*თავმჯდომარე* - პრესისა და პროკურატურის მასალით.

*ზ. გამსახურდია* - იმ პროკურატურას რა იურიდიული საფუძველი აქვს, თქვენ საბუთებს არ გაცნობდნენ?

*თავმჯდომარე* - გამოგზავნა ეს მასალა, პროკურატურა სთვლის, რომ ეს მასალა არის საკმარისი. აი რას იწერება... "რომლებიც დაბეჭდილია და გავრცელებულია მწერალთა კავშირის წევრის ზვიად გამსახურდიას მიერ არაოფიციალურ ჟურნალ "საქართველოს მოამბეში".

*ზ. გამსახურდია* - ის მთვლის მე რედაქტორად, მე ხომ ხელს არ ვაწერ, მე არა ვარ რედაქტორი.

*თავმჯდომარე* - მაგაზე თქვენ მიმართეთ პროკურატურას, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ იმ მასალას, რომელიც გაზეთშია.

*ზ. გამსახურდია* - გაზეთში ყველაფერი სიმართლეა?

*თავმჯდომარე* - ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმართლეა: ზვიად! - არავის არ აინტერესებდა თქვენი გალანძღვა. გთხოვთ, ამხანაგებო, გამოთქვით აზრი. ნოდარ, ხომ არ დაიწყებთ!

*ნ. დუმბაძე* - ჩვენ გავეცანით მასალას, რომელიც დაბეჭდილია არალეგალურ ჟურნალ "საქართველოს მოამბეში". კიდევ გავეცანით ჟურნალების წყებას, რომელსაც "ოქროს საწმისი" ჰქვია.

პირადად მე, როდესაც წავიკითხე "ოქროს საწმისი", ის არ მომეჩვენა სერიოზულ ჟურნალად, რადგან მასში ფრიად სუსტი და დაბალი გემოვნების ნაწარმოებები ქვეყნდება და როდესაც გავეცანი იმ მასალას, რომელიც მოგვაწოდა ჩვენ პროკურატურამ, სადაც გამოქვეყნებულია ანტისაბჭოთა პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ხალხს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, როდესაც წავიკითხე გენერალ მაღლაკელიძის ბიოგრაფია, რომელიც თურმე თანამშრომლობდა ჰიტლერთან, რომლის შთამომავალმა, რომლის შვილიშვილმა ისახელა თავი ვიეტნამის ომში იმით, რომ ულეტდა ვიეტნამში ხალხს, და ამ ბიოგრაფიაში სწერია, ქართველი ხალხის სახელით ვიღაც პირდება, რომ ამ დიდი სამსახურისათვის ქართველი ხალხი მას არ დაივიწყებს, - მე მიმაჩნია, რომ ამ ჟურნალის ხელმძღვანელი ან ავტორი ამ მასალისა არ არის ღირსი მწერალთა კავშირის წევრობისა და პირადად ჩემთვის, როგორც მწერლისათვის და კომუნისტისათვის მიულებელია.

*თავმჯდომარე* - გიორგი!

*გ. ციციშვილი* - მე ჩემი მეგობრებისათვის არ მითქვამს, საერთოდ არ ვლაპარაკობდი, რომ ძალიან მძიმე წლები გავიარე ომში და არა იმიტომ, რომ დაჭრილი ვიყავი და ბრმა, არამედ ვნახე საშინელებანი, რომლებიც ჩემს თვალწინ ტრიალებდა. ჩვენი პროპაგანდა თავის დროზე კი არ აჭარბებდა, არამედ სუსტი იყო, რომ არ აჩვენა მთელი ის საშინელება, რაც ფაშიზმს მოჰყვებოდა.

მე ვნახე ხალხი დახოცილი "დუშეგუბკებში", მანქანებით დატვირთული რომ გამოჰყავდათ. მე ვნახე ორი შერყეული კაცი ნარვასთან, რომელთაც ტვინში რაღაცას უშხაპუნებდნენ და რამდენი საშინელება. და მე ეს საშინელებანი რომ ვნახე და გავიცანი ეს ფაშიზმის არსი, ჩემთვის შეურაცხმყოფელია ყველაფერი ის, რასაც შეუძლია ფაშიზმის რეაბილიტირება.

მე საშინლად ამაღელვა იმან, მაღლაკელიძე აქციეთ ეროვნულ გმირად. მე არაერთი პროკლამაცია ჩამვარდნია ხელში, მე შტაბში ვმუშაობდი და ბევრი მოჰქონდათ ასეთი პროკლამაციები. ის პროკლამაციები ბევრი მინახავს შტაბში, მაგრამ იმ პროკლამაციამ, რომელიც ამ არალეგალურ ჟურნალშია დაბეჭდილი, საშინლად ამაღელვა იმიტომ, რომ ქართველ ახალგაზრდობაში აღძრავს ეჭვს, ქართველ ახალგაზრდებს აღელვებს, ეჭვს ულვივებს და ამ პროკლამაციამ შეიძლება მოწამლოს ქართველი ახალგაზრდობა. ზვიადმა ბრძანა, რომ მე ამისი რედაქტორი არა ვარო და ჩვენ ყველამ ვიცით, და ისეთი ავტორიტეტული ორგანო სწერს, როგორიც არის პროკურატურა.

ჩვენ წავიკითხეთ ეს მასალა, თმები ყალყზე დაგვიდგა განსაკუთრებით ეს პროკლამაცია წარმოუდგენელია 1977 წელს ასეთი პროკლამაცია ვინმემ შეთხზას ან გადმობეჭდოს.

მან ამრიგად შეურაცხყო ქართველი მწერლის სახელი, რამდენადაც ის დაკავშირებულია ამ დოკუმენტთან, ყველამ ვიცით, რომ ეს ამასთან არის დაკავშირებული. მე მიმაჩნია, რომ, რა თქმა უნდა, ზვიადი არ შეიძლება იყოს კავშირის წევრი.

*თავმჯდომარე* - იოსებ!

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქის სარკე

# ქართველი მწერლები და 1991 წლის 2 სექტემბრის აქცია

## ქვეყნდება პირველად

გაგრძელება დასაწ. იხ. „საქართველო" №50

### ამირან კალაძე: მე თუ რაიმე ისეთს მოვიმოქმედებ, რაც მოეწონება ედუარდ შევარდნაძეს, თავს მოვიკლავ...

მეგობრებო, სიმართლე გითხრათ, ძალიან ვღელავ, მით უმეტეს, რომ ჩემს წინ გამოვიდა ორი ცნობილი მწერალი, ჩემზე ბევრად უფროსები და ჩემი მასწავლებლები. მე არ მაქვს უფლება, რომ არ ვილაპარაკო გულწრფელად.

ჯერ ერთი, მართალია ჩვენს ოჯახში ვართ, ძალიან მონატრებული ვართ ერთმანეთთან შეხვედრას და როგორც იქნა, შევხვდით.

თავისუფალი საქართველოს იდეა ამ სახლში დაიწყო, ამ სახლში მოიკიდა ფეხი და სწორედ ჩვენი მწერლობის, ჩვენი ინტელიგენციის დამსახურებაა ის პატრიოტული განწყობილება, რომელიც დღეს და გუშინ იყო საქართველოში. ამიტომ მე მადლობელი ვარ ყველასი, ვინც დღეს მოახერხა თავმოყრა.

ძალიან გთხოვთ (მეც კი, შედარებით ჩქარი და ემოციური კაცი, ფრთხილად ვარ) არ ვიჩქაროთ. ახლა იწყება დღევანდელი საქართველოს ისტორია და მე პასუხს ვაგებ ყველაფერ ამაზე, რაც იწერება დღეს. მე ჩემი უფროსი მეგობრების, გაპატივებული მწერლების შეძახება არა მწყინს, მაგრამ ასეა - რაკი ჩემს ქვეყანას დასჭირდა და სადაც - მე იქ უნდა ვიდგე. მე ზვიად გამსახურდიას გვერდით კი არ ვარ, არამედ იმ იდეის გვერდით ვარ, რომელიც განივთებულია გამსახურდიაში.

ყველა გვეკითხება - რა ხდება?

დღეს საქართველოს სარკეში ვიხედებით და არ გვინდა დავინახოთ - აი ის, ბალტიისპირეთი მზად იყო გასასვლელად და გავიდა. ჩვენ არა ვართ ეტყობა ამისთვის მზად და არ გვინდა დავინახოთ ეს. არ ვიცი იმ მხატვრის გვარი, არ მახსოვს, სურათია ასეთი - ორი ხარი საპირისპირო მიმართულებით არის შებმული. ასეთ მდგომარეობაშია საქართველო. არ ვიცი დღეს ვინმე ისეთი, ვინც ისეთ რამეს იტყოდა, რასაც ყველა გაიზიარებდა. მეც ვერ ვიტყვი. არადა, რამდენიმე ინტელიგენტი ლერწამს დაემგვანა... **(დარბაზი ახმაურდა. წამოძახილები...)**. გუშინ მე ინტერვიუ მთხოვა „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტმა... **(ხმაური, არ აცდიან ლაპარაკს)**... მე მიმაჩნია, რომ შეცდომაა, რომ ჩვენ ასეთი დაძაბული ურთიერთობა გვაქვს. „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტს აინტერესებდა მე რას ვიტყოდი ჩვენი ამ დაძაბული ურთიერთობის შესახებ და შემდეგ რა ინტერპრეტაციას მისცემდა ამ ჩემს ნათქვამს. მეკითხება - ისინი არიან ხალხის მტრები? ისინი, რომლებიც თქვენს წინააღმდეგ გამოდიან? მე ვუთხარი - როგორ გეკადრებათ! ჩემი ბიძაშვილები არიან. - აბა, თქვენმა პრეზიდენტმა რომ სთქვა, ხალხის მტრები არიანო. მე ვუთხარი - არც პრეზიდენტი და არც მე ვამბობ ამას. ისინი არიან ჩემი ბიძაშვილები, რუსეთში რომ ერთმანეთი დაინდეს, 2 სექტემბერს ერთმანეთის პირისპირ დადგა არა რუსი და ქართველი, არამედ ერთმანეთის პირისპირ დადგა ქართველი და ქართველი, მართლა ბიძაშვილები და სახლიკაცები.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვართ მზად დემოკრატიისათვის. ეს არის ჩვენი უბედურება, როცა ქართველი ქართველის პირისპირ დგას და არა აქვს მნიშვნელობა, რომელია შეიარაღებული, ორივე დამნაშავეა. ეს არის ტრაგედია და უბედურება.

თუ მე გავიგებ, რომ ბრძანება გასცა ზვიად გამსახურდიამ, მე ვიქნები ის პირველი კაცი, რომელიც გადავდგები უმაღლესი საბჭოდან და ვიტყვი ამის შესახებ. ბატონი ზვიად გამსახურდია ისეა განრისხებული (აი აქ არის გურამ გვერდწითელი და დამიდასტურებს), რომ ის არ დაინდობს დამნაშავეს.

რაც შეეხება საკადრო პოლიტიკას, რომ მან

სტენოგრაფიული ანგარიში
საქართველოს მწერალთა კავშირის
საერთო კრებისა
1991 წლის 12 სექტემბერი

თავმჯდომარეობს - მუხრან მაჭავარიანი



არ დაინდო თვითონ მწერლები... **(დარბაზში ხმაური)**... მე გახლავართ ის კაცი, რომელიც ადგა, როცა მინისტრები ინიშნებოდა და გამოვთქვი ძალიან ხმამაღლა ჩემი აზრი. მე გამოვედი ბატონ სიგუას და ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იმიტომ, რომ იმ მინისტრების წინააღმდეგ თქვენთან ერთად ვიბრძოდი. მაშინ ბატონმა ზვიადმა ბრძანა - აი ეს ხალხი, ვისაც ჩვენ აქ ვნიშნავთ, დაინიშნება 6 თვის ვადით, გამოსაცდელი ვადით **(დარბაზში ხმაური)**.

**(ხმა ადგილიდან - რისი დამტკიცება გინდათ)**.

მე იმას ვამტკიცებ, რომ თქვენ არ გეგონოთ ის მწერლები, რომლებიც იქ ვართ, მარიონეტები ვიყოთ. მე სასტიკი წინააღმდეგი გამოვედი კულტურის მინისტრის დანიშვნისა. ის არის ძალიან საინტერესო მხატვარი, მაგრამ კულტურის მინისტრისათვის სხვა არის გასათვალისწინებელი.

2 სექტემბერი.

იმან, ვინც მოუსმინა ჩვენს მტრებს, ცენტრალურ ტელევიზიას, გამახსენა: „მითხარით ვინ არის თქვენი მეგობარი, ვის მოსწონხართ და გეტყვით ვინა ხართ". ის მიტინგი თუ შევარდნაძის მოსაწონია, ის არ უნდა ჩატარებულიყო. ვინ გულშემატკივრობს ამ მიტინგს?.. **(ხმა დარბაზიდან - კი, მაგრამ შენ უნდა ესროლო? დარბაზში აღშფოთების გამომხატველი ხმაური)**... მე თუ რაიმე ისეთს მოვიმოქმედებ, რაც მოეწონება ედუარდ შევარდნაძეს, თავს მოვიკლავ **(ხმაური, წამოძახილები, აწყვეტინებენ ლაპარაკს...)**

მე ვეთანხმები ჩემი უფროსი კოლეგების გადაწყვეტილებას: 1. დანაშაულია მიტინგის ჩატარება და 2. დანაშაულია და დამნაშავეა ის, ვინც ამ მიტინგს დაუპირისპირდა თოფებით და ხიშტით...

**(ადგილიდან - ესეც როდიონოვია?.. თქვენ არ იცით, ვინ გასცა განკარგულება?.. ხმაური)**...

თქვენ როგორ შეკითხვას მისვამთ?..

**(იზა ორჯონიკიძე - აბა თქვენ რას აკეთებთ იქ?)**

ქალბატონო იზა, მე არ ვიცი, რას იზამს ბატონი მუხრან მაჭავარიანი და ნოდარ წულეისკირი. როგორც კი თქვენთან ერთად გავიგებ ვინ გასცა ბრძანება, მე პირველი გამოვალ მის წინააღმდეგ, თუნდაც იყოს ეს ზვიად გამსახურდია.

ბატონმა მუხრანმა სთქვა - საქართველოს მწერლობა, ეს სახლი იყო ის, რომელსაც უსმენდნენ და ჩვენ დღესაც გვისმენენ... **(ხმაური)**... მე მინდა არ გავრცელდეს ხმა - ქართულმა მწერლობამ დათმო პოზიცია **(დარბაზში ხმაური, აწყვეტინებენ ლაპარაკს)**...

მე მინდა ჩვენმა შეკრებამ დღეს მიიღოს რეზოლუცია, რომ არ დარჩეს ეს კრება ლაპარაკად. ამ რეზოლუციას ხელი შეიძლება იმათაც მოაწერონ, ვინც დღეს აქ არ არის...

**(ხმა ადგილიდან - შეურაცხყოფას ნუ გვაყენებ იმით, რომ ამბობ - ჩვენ დამოუკიდებლობისათვის მზად არა ვართ. თქვენ თუ არა ხართ მზად...)** მზად ვარ ბატონო ნოდარ, არა მარტო ყველა ჩვენგანი და ვინც აგო ბარიკადები... არცერთ სახელმწიფოში მსვლელობაც არ შეიძლება და თუკი ჩვენ დემოკრატიას ვთხოულოთ, ყველა ვიყვეთ დემოკრატი... **(ხმაური; აწყვეტინებენ. წამოძახილები...)**

### ჯემალ ინჯია: მე მუცელში მივიდე წიხლი...

მე თავის დროზე განვაცხადე არა ერთხელ და ორჯერ, ძალიან ხმამაღლა ვთქვი - თუ ჩვენმა პოლიტბიურომ, ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა არ იცოდა 9 აპრილის მდგომარეობა, იგი არ უნდა ყოფილიყო გენერალური მდივანი, და თუ იცოდა და მაინც მოხდა, მაინც არ უნდა ყოფილიყო გენერალური მდივანი. ასევეა 2 სექტემბრის ამბავიც. მე ქართველი ვარ, არც ირაკლი წერეთლის და არც გიორგი ჭანტურიას პარტიას არ ვეკუთვნი. მაგრამ რას ერჩოდნენ ომონელები იმ ხალხს. ისინი არ მოვიდოდნენ მთავრობის გარეშე. ომონელები ესროდნენ ქვებს ხალხს. მე მთელი სიგრძე-სიგანით ვაცხადებ - არავითარი, ამოდენა ჯოხიც კი არ ჰქონდათ მომიტინგეებს, ჩემი თვალით ვხედავდი. მე თვითონ ვცნობ იმ ომონელებს. მე მუცელში მივიღე წიხლი. ბავშვებისათვის მოუყრიათ თავი, მათ შორის ჩემი მოწაფეები ვიცანი. ბავშვები ჰყავდათ მოყვანილი მათ დასარბევად. ჩვენმა მილიციამ დაიცვა ხალხი და დღეს ამ მილიციას უყენებენ ბრალს. თქვენ პარლამენტარი ხართ. ომონი გამოდის და ხალხს არბევს. ეს როგორ შეიძლება?!...

**ა.კალაძე:** - ბატონო ჯემალ, რაკი თქვენ წარსულით დაიწყეთ, მეც გაგახსენებთ. თქვენ სახალხო ფრონტის ყრილობაზე ბრძანდებოდით თავმჯდომარე, სადაც 3 წლის წინ აკალაძე ადგა და მსოფლიოში პირველმა მოითხოვა კომუნისტური პარტიის სახალხო სასამართლოსთვის გადაცემა.

2. მე თქვენ გეთანხმებით, რომ იქ არ უნდა მისულიყო ომონი, არც შეიარაღებული და არც შეუიარაღებელი **(ხმაური, აწყვეტინებენ ლაპარაკს)**...

**(მ.მაჭავარიანი - დაწყნარდით, ქალბატონო იწერს. ყველას სახელი და გვარი არ იცის და დაასახელეთ თქვენი თავი...)**

ჩვენ მოვამზადეთ მიმართვის ტექსტი და ქართველმა მწერლებმა მოაწერეთ ხელი **(დარბაზში აღშფოთება, ხმაური)**...

**(ი.ორჯონიკიძე** - რას ნიშნავს მოამზადებთ. ჩვენ მოვამზადებთ, მე ვამბობ, რომ **(დარბაზი არ აცლის ლაპარაკს, აწყვეტინებს)**...

თავმჯდომარე - სიტყვა ეძლევა ავასაძეს.

### აკაკი ვასაძე: ჩვენი უბედურება ალია-გოიმების ბრალია...

მე მინდა მწერალთა კავშირს, მის სამდივნოს ვუსაყვედურო ერთი მოვლენის გამო, რაც დაკავშირებულია ჩვენს სამწერლო ცხოვრებასთან. ორჯერ, ეს იყო 19-ში და 20-ში, იმისათვის, რომ გკჩპ-საგან შეძრულმა ჩემი სათქმელი მიმეტანა, სათქმელი, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს საჭირბოროტო პრობლემებთან, მკითხველამდე, სასწრაფოდ გავაკეთე ვრცელი წერილი „ალია და ალიები". ალიაზე, ალბათ, გაგიგიათ. ალია იყო ჩვენი უბედურება, ალია ქართველმა ხალხმა მასხრად აიგდო. ალიამ საბჭოთა სინამდვილეში ტრანსფორმაცია განიცადა და ჩამოყალიბდა გოიმის სახით. გოიმი, ეს არის გასაბჭოებული ალია.

აი ამაზე დავწერე ვრცელი წერილი, 20-25 გვერდი, სადაც ვამბობ, რომ ალია არის კომუნისტური პარტიის, სუკის და განსაკუთრებით თვით ლენინის პირმშო, რომელიც პირველ კომკავშირლებს მოუწოდებდა, განთავისუფლებულიყვნენ სინდისისაგან და აღჭურვილიყვნენ მხოლოდ პროლეტარიატის მსახურების შეგნებით.

ასე ჩამოყალიბდა ჩვენთან სინდისგარეცხილი ხალხი, რომელიც ჩვენს უბედურებას ხან ცენტრს აბრალებს, ხან კონგრესს, ხან ბუშს და მე ვამბობ, რომ ჩვენი უბედურება ალიების-გოიმების ბრალია და ალია-გოიმი თვით საბჭოთა სინამდვილის მიერ გამოყვანილი ჯიშია, მხოლოდ საბჭოთა სინამდვილის ნიშანდობლივი არსებაა.

მერე მე მქონდა კონკრეტულ პიროვნებაზე ლაპარაკი. ამის შესახებ დაწერილი წერილი და მთავარი იყო ის, რომ მე ვამბობ, ყველაფერი ეს არის საბჭოთა გადმონაშთი და განთავისუფლებულ საქართველოში მრავალჯერ შეგვიშლის ხელს. 19-ში მე სასწრაფოდ დავწერე და 20-ში მივიტანე ჩემთვის საყვარელ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორთან სოსო სიგუასთან. სოსო შეწუხდა და მითხრა - ასეთი მითითება მაქვს ზემოდან, რომ ასეთი წერილების დაბეჭდვა არ შეიძლება.

მე მოვედი მწერალთა კავშირში, ჩემო ძვირფასო სამდივნოს წევრებო, საყვედურისათვის. მე ეს პრეტენზია მაქვს და ეს საყვედური მინდა გადმოგცეთ, ბატონო მუხრან, პირადად თქვენ - სადამდე უნდა გაგრძელდეს ეს? მე როგორ შემიძლია საყვედური არ ვუთხრა იმათ, იმ ხალხს, რომელიც ჩემთან ერთად მონაწილეობდა იმ ბრძოლებში და დღეს არ მაძლევს არავითარ საშუალებას. მე ჩემს ცხოვრებაში არავისთან პირადი დაინტერესებით რაიმე დამოკიდებულება არ დამიმყარებია. ერთხელ მე რეზო მიშველაძეზე რომ დავწერე წერილი, მას ჩემთვის პირადად არ უწყენინებია და არც მე. ასეთი რამ ჯერ ჩემს ცხოვრებაში არ მომხდარა.

მე აქ რასაც ვამბობ, ბატონო სოსო, თქვენს დასაკნინებლად კი არ ვამბობ. მე მოვედი მწერალი და მე მინდა დავასწრო გკჩპ-ს, მაგრამ იმ დღეს ჩემი საყვარელი სამდივნო... ჩემი ძვირფასი სამდივნო, მდივნები და თავმჯდომარე...

**(მ.მაჭავარიანი - შენ რაკილა მიდიხარ, მე ვის ვუთხრა პასუხი?)**...

**ა.ვასაძე:** თქვენ უნდა მიიღოთ ძალისხმევა იმისათვის, რომ ლიტერატურულ ორგანოში არ ჰქონდეს ადგილი ჩარევას არც ზემოდან და არც ქვემოდან. პოლიტიკამ თავისი საქმე იცის. პოლიტიკური გაზეთები არის „საქართველოს რესპუბლიკა" და სხვ. მაგრამ დაგვიტოვეთ მწერლებს ჩვენი გაზეთი...

**(მ.მაჭავარიანი - ის მწერალი თუ პოლიტიკოსიც არის რა ქნას?..)**

მე პრეტენზია აქ არავისთან არა მაქვს. მაგრამ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, მე არც გავამახვილებდი ყურადღებას, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მივედი და სოსო არ დამხვდა. მერე „დროში" წავედი, შემდეგ „მამულში" შემიმოკლეს. ეს არის საშინელება. მწერლობამ უნდა დაანებოს თავი ოფიციოზის კურსის აღსრულებას.

**(მ.მაჭავარიანი - სწორია, სწორი!)**

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ვახტანგ გოგუაძე: ნოდარ ნათაძე ჩამოხრჩობას მპირდება

# ნოდარ ნათაძე: მხოლოდ კანონით, ბატონო ვახტანგ!

## მოკლე რეპლიკა

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „საქართველო" ბრძნულად მოიქცა, როცა გადაწყვიტა მომავალი ისტორიკოსებისათვის დღევანდელ ტრაგიკულ და სამარცხვინო ამბავთა მონაწილე „პოლიტიკოსების" მართალი და ტყუილი სიტყვა ერთად შეენახა. შემწყნარებლობაც და მოთმინებაც ნამდვილად შესაშური გამოიჩინა. მაგრამ ყოფილი სპიკერის ბატონ ვ.გოგუაძის ზღაპრობებმა იმდენად გადააჭარბა „მოკლეფეხება" ფანტაზიათა ყველაზე გულუხვ ლიმიტს, რომ ამან მკითხველთა უკეთესი ნაწილის, რბილად რომ ვთქვათ, ზნეობრივი დისკომფორტი გამოიწვია. რაც უარესია, ნაკლები ხარისხის მკითხველს შეუქმნა ილუზია, შეხედეთ, ეს კაცი რა ჭკვიანურად წერს. თურმე ეს საქართველოს დამაქცევარნი დამნაშავეები და უცხოეთის აგენტები კი არ ყოფილან, არამედ გარემოებათა მსხვერპლნი ყოფილანო. თურმე, ეს ქართველები მართლაც არარაობანი ვყოფილვართ და სხვის ფეხთა მტვერში გორაობის გარდა ბუნებას ჩვენთვის მართლაც არაფრის უნარი არ მოუმადლებიაო. თავს ნება მივეცი, ამ მართლაც რომ სულის ამმღვრევი დემაგოგიით გამოწვეულ აღშფოთებას ავყოლოდი და გაზეთში ერთი რამდენიმეწინადადებიანი რეპლიკა მომეტანა, რომელიც ერთ მცირე და, ჩემის აზრით, რეალისტურ პროგნოზს შეიცავდა, „ლრეჭა და თავზე ნაცრის ყრა ავტორს პასუხისმგებლობისგან ვერ იხსნის-მეთქი". ის პროგნოზი ნომერში ვერ ჩაეტია. შემდეგ ზემოხსენებულმა სახელმწიფო მოღვაწემ დამასწრო და ერთობლივი კარიკატურით შემკული წერილით გამიმასპინძლდა გაზ. „შანსში", რითაც ზემოხსენებული რეპლიკის გამოქვეყნება მოძველებული გახადა და, ამდენად, არამიზანშეწონილიც. მისი არგუმენტაცია ჩემს მიმართ დამყარებულია იმაზე, რომ მე მის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ნაბიჯს ისტორიის ასპარეზზე - საქართველოს პარლამენტის დადგენილების ტექსტის არგამოქვეყნებას პარლამენტის ორგანოში - „თაღლითობა" ვუწოდე. ჩემი მოკლე პასუხიც ამ იურიდიულ-ფსიქოლოგიური ცნების გამოყენების დასაბუთებით უნდა დავიწყო და თან რედაქციას ვთხოვო, ჩემს რეპლიკას ზემოთ ნახსენები ერთობლივი კარიკატურის ნახევარი მაინც დაურთოს ციტატის სახით.

ახლა საქმეს შევუდგეთ.

1993 წლის 1 ივნისს პარლამენტმა ჩემი წინადადებით მიიღო დადგენილება საქართველოდან რუსეთის ჯარების 1995 წლის 31 დეკემბრამდე გაყვანის შესახებ. მის ტექსტს რუსულ ენაზე (გაზ. „Свободная Грузия", 1993, 4 ივნისი) ქვემოთ ვბეჭდავთ. სპიკერმა, როგორც იტყვიან, „გადალუნა" ჩვენი შრომის შედეგი და პარლამენტის ორგანოში დაიბეჭდა მხოლოდ დადგენილების ნომერი (125), ტექსტი კი არ დაიბეჭდა. გინახავთ ძეთი კარიკატურული რამ მსოფლიოში -პარლამენტის დადგენილების ნომრის დაბეჭდვა და ტექსტის არდაბეჭდვა? მე მგონი, არ გინახავთ, რადგან არ არის. აი, ამას ვუწოდე თაღლითობა და ვუწოდებ კიდეც, რადგან ეს მართლაც თაღლითობა გახლავთ.

ყველა თაღლითობა დანაშაულია (და მისი სიმძიმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რისთვის ითაღლითებთ, სპიკერმა იმისთვის ითაღლითა, რომ გაუადვილოს ოკუპანტს დგომა თავის ქვეყანაში). მაგრამ ყველა დანაშაული როდია თაღლითობა (უფრო ზუსტად - როდია **მხოლოდ** თაღლითობა! თქვენ, ბ-ნო ვახტანგ, და კიდევ 125-მა თქვენსავით ყურებდაჭრილმა მეგობარმა ჩვენი მეზობელი ჩრდილოური იმპერიისამ (სახელს არ ვახსენებ) ხმა მიეცით საქართველოს შეთრევას „ესენგეში". რატომ? გულწრფელად შეგეშალათ? არა, ამის სიმულაციას ვერ შეძლებთ. მოუტანა საქართველოს რამე „ესენგემ"? ცხადია, არა. დღეს ეს ბავშვსაც ესმის და მაშინაც ესმოდა. ჩააყენა თქვენმა გუნდმა რუსები ენგურზე? დიახ, ჩააყენა და თქვენი გუნდის წევრები ახლაღა ამბობენ აქაიქ - გმირული წამოჯავლების სახით მლიქვნელური შესავლების ფონზე - ესენი ენგურზე „საზღვრის" განმტკიცების მეტს არაფერს აკეთებენო. დაავიწყა თქვენმა გუნდმა ჯ.იოსელიანს სამეგრელოში „ლაშქრობა" და ჩაბარა მეორე კაცის ფუნქცია ამ ოპერაციაში იმ მოტივით, რომ იგი „შეურიგებელია" (შევარდნაძის სიტყვებია)? დიახ, ჩაბარა, მიუხედავად იმისა, რომ „შეურიგებლობით" ანუ სიავით სარდლების შერჩევა არსად გაგონილა. ელაბუცებით დღეს „ესენგეს" სასაცილო „საპარლამენტთაშორისო" თავყრილობებს მოსკოვსა და პეტერბურგში ისეთი სიტყვებით და ფრაზებით, რომელსაც რაიკომის ინსტრუქტორიც კი იუკადრისებდა (და რომლებიც გაზეთშიც მოგყავთ? დიახ, ამასაც იქმთ.

მაშ რაღად გაქვთ იმედი, რომ განკითხვა აგცდებათ ან **უნდა** აგცდეთ ან **დასაშვებია**, რომ აგცდეთ? მხოლოდ იმიტომ, რომ ფიქრობთ, თქვენი ცხოვრების მანძილზე ქართველი ერი განკითხვის მოხდენისათვის აუცილებელ ძალასა და მუხტს ველარ მოიკრებს? ცდებით! მოიკრებს და არც თუ გვიან მოიკრებს, ვინაიდან ისტორია დღეს ჩვენთვის მუშაობს ანუ ჩვენი რეგიონიდან იმპერიის წასვლისა და მისი ლაქების ახვეტისათვის მუშაობს. მცდარად არ გაიგოთ, ლაპარაკია არა მხოლოდ თქვენზე ან თქვენს პირადად გამორჩეულ როლზე (იგი არც ისე გამორჩეულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, პირიქით, სხვებთან შედარებით მომცროც არის, მაგრამ **არის**). ლაპარაკია ყველა იმაზე, ვინც ცოცხალია და ფეხზე დგას, როგორც ინდივიდზე და როგორც თაობის წევრზე.

პირადად თქვენ, თქვენდა საბედნიეროდ, ჰუმორი შეგწევთ, რათა ჰამლეტის იორიკივით თქვენსავე მდგომარეობაზე იცინოთ. მაგრამ რა ქნან იმ თქვენმა კოლეგებმა, რომელთაც ღმერთმა ჰუმორის ნასახი არ მისცა - ყველა იმ წითელ-მწვანეებმა და ყველა სხვა ფერის კონფორმისტებმა, დღეს რომ მზად არიან - ისევ და ისევ „უმცირესი ბოროტების" არჩევის საბაბით - ხმა მისცენ რუსეთის ბაზების დაკანონებას საქართველოში, თუმცა **რომელია**, სახელდობრ, ის „უდიდესი" ბოროტება, რომლის ჩადენაც ჩვენს მიმართ ჩვენს მეზობელს შეუძლია, თუ ახალ-ახალი ბარტყი არ გადავუგდეთ, ამის დასახელება არ შეუძლიათ.

ვინც, აქ ვთქვათ, წინა ხაზზეა, იმას მოწინააღმდეგეებთან შეხვედრაც უწევს. მაგრამ გააჩნია, ვინ როგორ ხვდება. როცა გეკითხებიან, „რა არის საჭირო, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მოგვარდეს?" და პასუხობთ, „თქვენი ფაქტორის მოხსნა", ამით მოწინააღმდეგეს ქმედუნარიანობა არ ემატება, რადგან იგი უამისოდაც ჩვენი მტერია. მაგრამ როცა მოწინააღმდეგეს წაახალისებთ მისთვის ილუზიის შექმნით, თითქოს საქართველო მზადაა თავისი გულის ჰიმნად „კატუშა" აღიაროს, ამით მას რეალურ ძალას ჰმატებთ, რადგან შემტევი მხარის სითამამე მის ძალას ზრდის.

თუ რამე კარგის ქნა გინდათ, რაღაცა ჯერ კიდევ შეგიძლიათ (ბევრისა - აღარა), თუმცა მაინცდამაინც იმედი არა მაქვს, გული ძალიან აქტიურად გვერჩოდეთ. აჰა ბურთი და აჰა მოედანი.

ნოდარ ნათაძე

---

186

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

124 ნოდარ გიორგაძისა და პანტელეიმონ გიორგაძისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

ნოდარ გიორგაძესა და პანტელეიმონ გიორგაძეს შეუწყდეთ საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შესაბამისად ქ. ვენაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელად და სასაზღვრო ჯარების სარდლად - საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 1 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

125 საქართველოს რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმოკლეს ვადაში გაყვანის შესახებ

(ერთვის დედანს)

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

126 სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და კუპონების მიმოქცევის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის რ. გოცირიძისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დ. დვალიშვილის ინფორმაციები ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესახებ,საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და ეროვნულმა ბანკმა ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ პარლამენტის განსახილველად

---

ქვემოთ ვათავსებთ 1993 წლის 1 ივნისის დადგენილების ტექსტს გაზ. „Свободная Грузия" 4 ივნისის ნომრიდან.

Постановление Парламента Грузии
1 июня 1993 г.

О выводе вооруженных сил Российской Федерации из Республики Грузия в кратчайшие сроки

В виду того, что вступление вооруженных сил России в Грузинскую Демократическую Республику в 1921 году было противозаконным действием по отношению к суверенной стране, повлекшим за собой полную оккупацию и фактическую аннексию Грузии со стороны России, а в дальнейшем - насильственное включение Грузии в состав Советского Союза, и что ни пребывание вооруженных сил СССР, ни впоследствии вооруженных сил Российской Федерации на территории Республики Грузия не имеет под собой иной основы, кроме механического продолжения, создавшегося в результате противозаконного действия,

Парламент Грузии постановляет:

1. Вывести вооруженные силы Росийской Федерации со всей территории Республики Грузия в кратчайшие сроки; если стороны не договорятся между собой об определении необходимых для этого минимальных сроков, просить о направлении экспертов Организации Объединенных Нации для разрешения спорного вопроса.

2. Имеющиеся у вооруженных сил России оружие и боеприпасы, национализированные постановлением Верховного Совета Республики Грузия от 25 ноября 1991 года, приемо-сдаточным актом передать Министерству Обороны Республики Грузия. В случае возникновения разногласий с российской стороной по поводу квот, просить Организацию Объединенных Наций командировать в Грузию экспертов для установления соответствия передаваемых Республике Грузия оружия и боеприпасов квотам.

Передачу Республике Грузия занимаемых вооруженными силами Российской Федерации баз и наличных

квартале 1994 года. Если же между Правительствами Республики Грузия и Российской Федерации будет заключено соглашение о выводе вооруженных сил Российской Федерации из Грузии по соответствующему графику, срок продлить, но не позднее 1995 года.

3. Поручить Министерству иностранных дел Республики Грузия внести соответствующее представление в правительство Российской Федерации с перспективой установления качественно новых отношений с Россией.

Спикер парламента Грузии
Вахтанг Гогуадзе
Тбилиси 1 июня 1993 года

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «ჩვენები» მოდიან!..

## წერილის „მაწვნის დედა..."

**ხშირად მეკითხებიან – ამბობს ყოფილი პარტიული ფუნქციონერი, გარეგნულად რატომ არ იცვლებიო, მე ვეუბნები: თქვე კაი ხალხო, ვერ ხედავთ, ჩვენები ბრუნდებიან (наши возвращаются-ო) და რომ ვერ მიცნონ, სად მიდიხარ მერე-თქო. (о друг не узнают- ო) თავმომწონებით ჩაირუსულა და გადახედა თანამესაუბრეთ...**

საერთოდ არ მიყვარს თამბირებზე დასწრება, მითუმეტეს, ზედა ქუჩელინებში. არაფრისმაქნის, არაფრისმომტან, უსარგებლო ლაპარაკში უნდა დაკარგო მთელი დღე. სულ ასეთი უარყოფითი შეგრძნებით წავსულვარ ყველა თამბირზე, რომელსაც კი დავსწრებივარ. თამბირებს შორის შესვენებისას საერთოდ გარეთ გასვლაც არ მიყვარს. რა უნდა ვაკეთო ფოიეში. ვრჩები ჩემს ადგილზე და თუ ვინმე ახლობელი მიზის გვერდზე, მასთან საუბარში გამყავს დრო. თუ მარტოდ ვოგულე თავი, გაზეთს ან სხვა რამე წასაკითხს ავიღებ და დროც შეუმჩნევლად გადის. ახლახან, პირველად ალბათ, ჩემი თამბირომანიის ისტორიაში, შესვენებისას გარეთ ფოიეში გავედი. წინადღით გვიანობამდე ნაქეიფარს, „ბორჯომი" მომინდა. თეთრსაფარ გადაფარებულ მაგიდასთან ლამაზი, მომხიბვლელი გოგონა იდგა და „ბუტერბროტებით" და „ბორჯომით" უმასპინძლდებოდა თამბირზე მოწვეულ, მუშაობით გადაღლილ მეტნაკლებად მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებს. მაგიდასთან უწესრიგოდ ირეოდნენ და მათში უამრავ ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი. ზოგი მესალმება, უფრო სწორად, თითქმის ყველა მესალმება. მერე ვფიქრობ ვინ არის? საიდან ვიცნობ. ზოგს მაშინვე ამოვიცნობ: ამ და ამ რაიკომის მდივანი იყო, ეს ამ და ამ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო წლების მანძილზე, ეს ხომ ყოფილი მინისტრია... ნეტა რა თანამდებობა უჭირავს ახლა? ბუნებრივად მოჰყვება ჩემს ფიქრებს ერთი მეორის მიყოლებით შეკითხვები და პასუხებიც, თუკი გამახრია რა თქმა უნდა. ამ დღეს ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა გაჩაკეთე თურმე რამდენ „სიამოვნებას" ვკარგავ თამბირებს შორის შესვენებაზე ფოიეში რომ არ გამოვდივარ. „ბორჯომით" სავსე ჭიქა გამოვცალე, მაგიდაზე დავდგი და შევათვალიერე: სად, რომელ ჯგუფს შევუერთდე, რომელ ჯგუფში იქნება უფრო „საინტერესო" საუბარი. წამით შევყოყმანდი და იქვე ფანჯარასთან 5–6 კაციან ჯგუფთან მივედი. მათ შორის ერთ-ერთი ჩემი რაიონის ყოფილი პირველი მდივანი იყო. კარგად მიცნობდა და გადაწყვეტილებაც ამან მიმაღებინა. მივესალმეთ ერთმანეთს, გადავკოცნეთ კიდეც. მან თანამოსაუბრეებს წარუდგინა ჩემი თავი. გაიცანით: ესა და ეს კაციაო. მეც ყველას რიგ-რიგობით ჩამოვართვი ხელი. ზოგმა – ვიცნობ ბატონოო, დაამატა. ზოგს მართლა ვეცნობდი, ზოგი ისე ზრდილობისთვის ამატებდა. ხანმოკლე მოკითხვის შემდეგ ძველ, ჩემს მისვლამდე დაწყებულ საუბარს მიუბრუნდნენ. მე სიგარეტი ამოვიღე. ჩემს გვერდით მდგარმა (ისიც ყოფილი რაიკომის მდივანი იყო) სანთებელა გამომიწოდა. მოვუკიდე, მადლობა მოვუხადე და ვცადე მათ საუბარში გავრკვეულიყავი. ყვებოდა ერთ-ერთი მთიანი რაიონის ყოფილი პირველი მდივანი, მერე მოგვიანებით რომელიღაც უწყების სამეურნეო სამსახურის უფროსად მუშაობდა და მაშინ მყავდა გაცნობილი. ჭკუა-გონებით რომ არ ბრწყინავდა, ყოველთვის ვიცოდი, მაგრამ თუ ამდენად სულელი იყო, ვერ წარმომედგინა. საუბარში ხელებს იშველიებდა და ცდილობდა ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობა მიეცა. საერთოდ ყბედი კაცია და ეტყობა, ჩემს მისვლამდე ერთი ან ორი ეპიზოდის მოყოლა უკვე მოასწრო და როგორც ყველაფრიდან ჩანდა, არცთუ „წარუმატებლად". საუბარში ხშირად რუსულ სიტყვებს ურევდა, წინადადებებსაც. რუსულის ცოდნა, მოგეხსენებათ როგორი საქმეა და ეტყობა ამ ვაჟბატონს ძალიანაც ემაყებოდა. მოკლედ, ამბობს: ხშირად მეკითხებიან, გარეგნულად რატომ არ იცვლებიო. მე ვეუბნები: თქვე კაი ხალხო, ვერ ხედავთ, ჩვენები ბრუნდებიან (наши возвращаются-ო) და რომ ვერ მიცნონ, სად მიდიხარ მერე-თქო (о друг не узнают- ო), თავმოწონებით გადახედა ყველას – ხომ კარგად ვთქვიო. თვითონ სხვაზე მეტი ხმამაღალი სიცილით გაიცინა და მცირე პაუზის შემდეგ, აქაოდა არავინ დამასწროსო, ამბის მოყოლა დაიწყო: ჩემს ძმას მოსკოვში მანქანა შეუძენია, გაგიჟდები თურმე, „ჯიპია". მასეთი „ჯიპი" მოსკოვში არ დადისო. საოცრებაა თურმე. მაგრამ რაღა გინდა? ძმა ამბობს: უნდა გავყიდოო, მეტი აღარ შემიძლიაო. რატომ, რისთვისო? წაიძლია რომელიღაც ნარაიკომისმდივნარის ცნობისმოყვარეობამ. აღარ შემიძლია მეტი. გზაში, რომ გავივლი მთელი „მოსკოვი" ჩემს მანქანას მოჩერებია და იცი, როგორ უხერხულობას ვგრძნობო. ამის გაგონებაზე არავინ გაიცინა, თავი დაუკრეს: ნამდვილად ასე იქნებაო. მე გაოცებული შევყურებ და ვფიქრობ, ვინმე სიტყვას ჩამოართმევდეს ამ უბედურს, თორემ უფრო გაუტევს და რა მოუსმენს ამდენ სისულელეს-თქო. ერთი ჩვენი თანამოსაუბრე, ჩემი ნაცნობი ყოფილი რაიკომის მდივანი მისი ყოფილი კოლეგის მოსმენით გაოგნებულია. ვხედები, გულში ეცინება და მისი სიკოლდაობით იწვის. არ ვიცი ამ მიზეზით მოინდომა საუბრის სხვა თემაზე გადატანა თუ უნებლიედ მოუვიდა, საუბარში ჩაერთო: წელან ჩვენები მოდისო, რომ თქვა ჩვენმა მეგობარმაო, კი ვიცი, ვისაც გულისხმობდა და მისი საუბრის გაგრძელებად არ ჩამითვალოთო. ეს კომუნისტები მაინც თავისას არ იშლიანო. გაერთიანებულან ახლა „სტალინისტი" და „ლენინისტი" კომუნისტები და გინდა თუ არა ხელისუფლება უნდა ავიღოთო, გაიძახიან თურმე. ვერც კი ხვდებიან ეს „შობელძაღლებიო" (არ ვაჭარბებ, ზუსტად ეს სიტყვა იხმარა), სტალინიც რომ ადგეს, მათი მობრუნება არ იქნებაო. ან არ ეყოფათ რაც ქვეყანა დაანგრიესო. გაოცებული ვუყურებ ამ სიტყვების ავტორს, ვიხსენებ რამდენი წელი იმუშავა პირველ მდივნად. ხო, გამახსენდა, ერთგან 7 თუ 8 წელი იყო, მერე მეორეგან 4 წელი. ახლაც ერთ-ერთი დიდი რ-ნის გამგებელია.

სხვაც ბევრი ითქვა იმ შესვენებაზე მაგრამ უკვე არაფრის მოსმენის თავი აღარ მქონდა, ამეკვიატა თავში: ნუთუ ასეთი თვალთმაქცობაც შეიძლება. ან მე რომ ხუთ წუთში შევატყვე რა ბედოვლათებიც არიან, სხვა, ვისაც მათი ბედი აბარია, რატომ ვერაფერს ატყობს? ატყობს იქნება და აწყობს კიდეც. აბა, მართლა, მე ხომ არ დამინგრევია ეს ქვეყანა, ვიღაცას ხომ უნდა დაენგრია?!

ანტი ჩხეტია

---

**რუსეთის მხარემ უარი განაცხადა ქართველი მესაზღვრეების მომზადებაზე რფ-ს უმაღლეს სასწავლებლებში**

რუსეთის მხარემ უარი განაცხადა ქართველი მესაზღვრეების მომზადებაზე რფ-ს უმაღლეს სასწავლებლებში. სააგენტოს კორესპონდენტს საქ. სასაზღვრო უწყების შტაბიდან აცნობეს, რომ ეს უარი განპირობებულია იმ პოლიტიკური უთანხმოებით, რომელიც არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის დსთ-ს გარე საზღვრების დაცვის საკითხებში.

როგორც ცნობილია, საქართველო არ შეუერთდა ალმა-ათის ხელშეკრულებას დსთ-ს გარე საზღვრების ერთობლივი დაცვის თაობაზე. გარდა ამისა, საქ. საპარლამენტო სტრუქტურების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ აღარ აკმაყოფილებთ რფ-სა და საქართველოს შორის 1994 წლის 3 თებერვალს დადებული ხელშეკრულება, საქართველო-თურქეთის საზღვრის ერთობლივი დაცვის თაობაზე და უახლოეს მომავალში ისინი მოითხოვენ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას.

იბერია

---

ივ. ჯავახიშვილი – 120

# ივანე ჯავახიშვილის ნაკლებად ცნობილი წერილები

### საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. კანდიდ ჩარკვიანს



მცხეთის მიდამოებში ბებრის ციხისაკენ მდებარე საკუთარში სამეთოდო შენობისათვის საძირკვლის თხრის დროს ძველი ქვაყუთი სამარხები აღმოჩნდა, რომლებშიც რომაული ხანის ერთი ფრიად საყურადღებო ბერძნული წარწერა იყო ნაპოვნი და ერთიც ძველი ებრაული წარწერიანი სამარხის ქვა. ამის გარდა იქვე ოქროს სამკაული და ერთი ოქროსავე ბეჭედიც აღმოჩნდა. ორივე ბეჭედი მაღალი ხარისხოვანი ხელოვნებით ამოჭრილი სახეებით, ეს ორი გემმა ძველია და მეტად საყურადღებო. ამ გარემოებამ ცხად-ჰყო, რომ აქ მცხეთის სასაფლაო უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში, ბებრის ციხის მიდამოებში საქართველოს სამხედრო გზის გაყვანის დროს, აღმოჩნდა ძველის ძველი სამარხები, რომელიც ბაიერმა გათხარა. ამ არქეოლოგიურმა მონაპოვარმა მეცნიერებას მეტად საყურადღებო მასალა შესძინა საქართველოს უძველესი მატერიალური კულტურის შესასწავლად და ამის მიხედვით არა ერთი სამეცნიერო გამოკვლევაც დაიწერა და გამოქვეყნდა. ცხადი იყო, რომ მცხეთის მიდამოები გეგმიანსა და არა შემთხვევით გათხრას მეცნიერებისათვის შესძლებდა ძველი საქართველოს დედაქალაქის, დედამიწის ერთ უძველეს ქალაქთაგანის მატერიალური კულტურის უხვი და საყურადღებო ნაშთი შეეძინა. მაგრამ ასეთ მუშაობას აფერხებდა ის გარემოება, რომ ამისათვის ვენახ-ბაღების ხელის ხლება და გადათხრა იყო საჭირო, რაც რასაკვირველია სრულებით შეუძლებელი იყო. ზემო ავჭალის ელექტროსადგურისათვის მცხეთასთან უზარმაზარი საგუბრის მოწყობის საჭიროებამ მცხეთის მიდამოების მთელი სანაპიროს დიდი ნაწილის წყლით სამუდამოდ დაფარვა აუცილებელი გახადა. უკანასკნელი შემთხვევა იყო, რომ ამ ადგილების წიაღში ჩამარხული ძველი კულტურის სიუხვე ნაშთი არქეოლოგიური კვლევა-ძიების საშუალებით მოწიფული ყოფილიყო და ეს გახდა მეცნიერების შესაძენი. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მაშინ ეს ვერ მოხერხდა. მთელი ეს ფართობი წყლით დაიფარა და არქ. კვლევა-ძიებისათვის სამუდამოდ მოუწვდომელი შეიქნა. ზემოაღწერილმა საიდუმლოებმა წინასწარმა მუშაობამ კი გამოაშკარავა, რომ მცხეთის არეში კიდევ ბევრია ფრიადი ადგილი, სადაც მეცნიერებას საშუალება ექნება იშვიათი საქართველოს მატერიალური კულტურის ნაშთი აღმოაჩინოს და შეისწავლოს. მაგრამ საშიშროება წამოიჭრა, რომ შესაძლებელია აქაც ამ მიზნის მიღწევა შეფერხდეს და იქნებ კიდევ გაგრძელდეს, რადგან სადემნებელი და მცხეთელთა განაშენიანება უბანში გადმოსახლებასთან დაკავშირებული სამუშაოები მეტად საშურია და მათი ხანგრძლივი შეფერხება შეუძლებელია. რაკი შემთხვევითმა თხრამაც – კი ესოდენ საყურადღებო შედეგი მოგვცა, ცხადია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი ამ ფართობის არქეოლოგიურ შესწავლას საქართველოსა და კავკასიის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ამიტომაც აუცილებლად საჭირო იყო, რომ ამ უკანასკნელი შემთხვევით მაინც გამოგვეყენებინა და მისი წიაღიდგან უძველესი კულტურის იქ ჩამარხული ნაშთები მეცნიერებისათვის გადაგვერჩინა. ამისათვის საჭირო იყო იქ წარმოებული სამუშაოების დროებით შეჩერება და მთელი ამ ფართობის სასწრაფოდ არქეოლოგიური გათხრის დაწყება

თქვენი განკარგულებით, მუშაობა დროებით უკვე შეჩერებულია და თქვენივე დავალებით ამასთანავე მოგართმევთ ამ უკიდურესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოების ზოგად გეგმასა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას.

მცხეთაში გამგზავრებამ და ადგილობრივი მდგომარეობის გაცნობამ დამარწმუნა, რომ არქეოლოგიური გათხრა ისეთი სისწრაფით უნდა სწარმოებდეს ორსავე საკვეთზე, რომ გათხრის უმალ დასახლებისა და აღმშენებლობის დაწყება შეეძლოთ. ერთი ადგილი განკუთვნილია მცხეთელთა გადმოსახლებისათვის, მეორე ადგილი, ბებრის ციხისაკენ მდებარე, სამეთოდო პუნქტისა და სხვა დაწესებულებათა შენობების ასაგებად არის დანიშნული. ამიტომ არქეოლოგთა ორი ჯგუფია აუცილებლად საჭირო. ორივე ჯგუფში უნდა სულ ცოტა 10 არქეოლოგი გვყავდეს, და 3, ან 4 ტექნიკური მომუშავე (ტოპოგრაფი, არქიტექტორი და ორი ფოტოგრაფი). თითოეულ ჯგუფს ერთი უფროსი ექნება, ყველა არქეოლოგის განკარგულებაში ათი მუშახელი უნდა იყოს. რაკი საქართველოს არც ერთს სამეცნიერო დაწესებულებას ცალკე ამდენი არქეოლოგი არა ჰყავს, ამიტომ საჭიროა რამდენიმე დაწესებულების თანამშრომლის გამოყენება და გთხოვთ, რომ განკარგულება გასცეთ, რათა საქართველოს მუზეუმის, შოთა რუსთაველის მუზეუმის, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტისა და კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების თანამშრომლების ამ არქეოლოგიურ ექსპედიციისათვის მობილიზაციისა და გამოყენების უფლება გვქონდეს. მცხეთის არქეოლოგიური გათხრის წესიერად და სწრაფად მიმდინარეობისათვის საჭიროა სხვადასხვა დარგის მეცნიერთა კონსულტანტებად მოწვევა. ამიტომ, არქეოლოგთა და სხვა მუშაკების გარდა, კონსულტანტებიც უნდა იყვნენ ამ საქმეში, რასაკვირველია, კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ამხანაგი დ. ლომიძეც უნდა მონაწილეობას იღებდეს, ვითარცა სათანადო დაწესებულების წარმომადგენელი და ამას გარდა კონსულტანტებად პროფესორები ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, გ. ნიორაძე, ს. ჯანაშია და დოც. ბერძენიშვილი, რომელთაც საკონსულტაციო მუშაობისათვის გასამრჯელო მიეცემათ.

ამასთანავე გიახლებთ მცხეთის არქეოლოგიური გათხრისათვის შედგენილ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას, რომლის ჯამსაც უნდა მხოლოდ კონსულტაციისათვის საჭირო თანხა დაემატოს ხუთი ათას მანეთამდე.

მოგართმევთ რა ამ მოხსენებასა და ხარჯთაღრიცხვას, გთხოვთ თქვენს ავტორიტეტულ მითითებასა და განკარგულებას ამ ექსპედიციის მოწყობისა და დაფინანსების შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი
1938 წ. 21. X

# აქ ჩვეულებრივ ნაბიჯსაც კი სიცოცხლის ფასი აქვს

შხარა „ცხრას" ნიშნავს სვანურად. ცხრა მწვერვალი აქვს საქართველოში კავკასიონის ამ ყველაზე მაღალ (5200 მ ზღვის დონიდან) მთას, რომელიც 13 კილომეტრზეა გადაჭიმული შუაგულ სვანეთში. მრავალჯერ გავლილა შხარა ალპინისტთა ჯგუფების მიერ, ბევრი დაღუპულა, ბევრიც გამარჯვებით დაბრუნებულა. თითქოს გაზომილ-გათვლილი უნდა იყოს თითოეული მწვერვალი, ალპური კედლებით თუ ციცაბო ქედებით, მაგრამ შხარა აბა რისი შხარაა, თუ თავი ბოლომდე გაგაცნო, ამოგაწურინა. ნელ-ნელა აჩენს „გადამალულ" მარშრუტებს ალბათ მხოლოდ მათთვის, ვისაც თავის ღირსად მიიჩნევს. ასეთ ბედნიერთა რიცხვში წელს თბილისელების ალპინისტური სამეული აღმოჩნდა: ზურაბ კუჭავა, კობა მამისაშვილი და ირაკლი უგულავა. აგვისტოში მათ დაიპყრეს ჯერგაუვლელი კედელი. ამ საინტერესო ექსპედიციის შესახებ მოგვითხრო ჯგუფის ხელმძღვანელმა ზურაბ კუჭავამ.

## ქრონოლოგია

ჯერ უნდა ჩაგვეტარებინა სავარჯიშო სამუშაოები. 10 კაციდან ზოგიერთები სრულიად ახალბედებიც იყვნენ და შედარებით კვალიფიცურნიც: დათო ყიფიანი, ირაკლი ქურასბედიანი, გიორგი ვეფხვაძე და ა.შ. შხარა ძალიან დიდი მთაა. აქამდე მისვლასაც გარკვეული კვალიფიკაცია უნდოდა. ბიჭებთან ერთად რამოდენიმე მარტივი მწვერვალი დავლაშქრეთ, უღელტეხილებზეც ავედით. ამის მერე კი, ივლისის 26-27-ში დავიწყეთ უშუალოდ მარშრუტისათვის სამზადისი. უნდა გავსულიყავით 5 კაცი: მე და ოთხი ირაკლი: უგულავა, ელენტი, გოცირიძე, კორძახია. 29-ში წავედით შხარის იმ ნაწილისკენ, საიდაც ჩვენი მარშრუტი იწყებოდა. გზა გადიოდა ყინულვარდნილზე (არის ასეთი ცნება მთამსვლელებში, ჩამოწოლილია დიდი მყინვარი ასე 3 ან 5000 ტონიანი და ვეებერთელა ყინულის მასები ეკიდება. ასე - ბოლომდე ხანდახან წყდება და მტრიალს, თუ იქ მოხვდი იმ დროს, ქს გზა ადრე. დაახლოებით 30 წლის წინ. გავლილი იყო. ჩვენ რომ მივედით, ბევრი ვიწვალეთ, ვიარეთ, მაგრამ ვერ შევძელით. შეცვლილიყო ამ წლების მანძილზე ყინულვარდნილი. სიგრძეში სულ 5 კმ-ია, მაგრამ საშინელი მანძილია. წარმოიდგინე: დგას უშველებელი ყინულის თხელი კედლები, მზე აჭერს, ძირი უცნება, შეიძლება მოცურდეს. შიგნიდან ხომ წყალია მიდის და უცებ ჩაინგრევა. წესით ამ ადგილას სიარული საერთოდ არ შეიძლება ჩვენ მაინც „რქებით" ვაწვებით, მაგრამ არაფერი გამოვიდა. უკან დავბრუნდით. სამ ბიჭს აღარ ჰქონდა მეტი დრო და თბილისში დაბრუნდა. დავრჩით მე და ირაკლი უგულავა (ჩუქა). შემოგვემატა კიდევ ერთი - კობა მამისაშვილი. ჩვენს შორის ექვსექვსი წელია განსხვავება. ირაკლი 22 წლისაა, კობა - 28, მე - 34. ავიქარდით, პროდუქტი სულ ერთი თვის მარაგი გვქონდა წამოღებული და უნდა გვეყოფნოდა.

## უშგულის მთა

2 აგვისტოს გავედით მარშრუტზე. მე ავირჩიე ეს. მთელი 3-4 დღე კარგი ამინდები იყო და თუ არ „დაიჭირე" ეს ამინდი, მერე შეიძლება ყველაფერი გაფუჭდეს და აქო ვერც „დაიჭირეთ".

ახლა, ორი სიტყვით ამ მარშრუტზე. შხარაზე არის ერთი ასეთი მთა - უშგული, რომელსაც ხანდახან სამხრეთ-აღმოსავლეთ შხარასაც ეძახიან, რადგან ქედი აერთებს შხარასთან. ამ უშგულს აქვს კედელი, რომელიც გვერდებიდან გავლილი იყო ჯგუფების მიერ, მაგრამ ცენტრი, დაახლოებით 250 მ სალი კედელი, ვერტიკალი 90, გაუვლელია. ეს მანძილი კი სიგრძით არ ითვლებოდა ალპინიზმში და მეორეც ერთი, ძნელად მისასვლელია. ამიტომაც არ გაამახვილეს ყურადღება თავის დროზე. ჩვენ ჩვენს მარშრუტში ჩავრთეთ არა მარტო ეს კედელი, არამედ აქედან ცენტრალურ შხარაზე ასვლაც. გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სამხრეთიდან ასეთი სიძლიერის მარშრუტი არ არის შხარაზე. ძალიან რთული საცოცია. შხარა ხო მაინც შხარაა. მოკლედ, ალპინისტურად ძალიან მიმზიდველია. რაკი ყინულვარდნილზე ვერ გადავედით, სხვა გზით, რაღაც მწვერვალზე გადავლის გზით მივედით მარშრუტის ძირში, ე.ი. იმ საოცარ ადგილას, ალპინისტები „ცირკს" რომ ეძახიან".

## „ცირკი"

ცირკს ვეძახით მთაში სწორ ადგილს, რომელსაც გარშემო მთები კეტავს. ამიტომ იქამდე მისასვლელად მთაზე გადასვლაა საჭირო. ამ უშგულის ცირკში კოლოსალური ჩანჩქერი მოდის, ალბათ 150 მეტრის სიმაღლის. ეტყობა, იმიტომ არ იცის არავინ, რომ არც არავინ შედის იქ. მყინვარებს ნაპრალები ჰქონდა 30-60, 500 მეტრიანი. ეს ნაპრალები შიგნით ღრმავდება და წარმოიქმნება უშველებელი, სასახლესავით ინტერიერი, გარედან მზე ანათებს. შიგნით ვეებერთელა მოცულობის საოცარი გვირაბებია. იქ გავლა ძალიან სახიფათოა, თუ ჩავარდი, ეგ ყოფილა შენი ბოლო. მოკლედ, ჩვენ წავედით ერთი კვირის ანგარიშით. მარშრუტზე ვივარაუდეთ 5 დღე, და ორი დღეც იმ შემთხვევისთვის, თუ ამინდი გაფუჭდებოდა. მძიმედ ვიყავით. კლდის საჭურველი მძიმეა. პალო, თოკი, პროდუქტი. სამ კაცზე ერთი საძილე გვქონდა ყველანაირად ვცდილობდით, ბარგი შეგვემსუბუქებინა. წასვლისას საჭმელს რომ ვანაწილებდით, ბიჭებს თუ უნდოდათ, მაგალითად, სამი ძეხვი წაგვეღო, მე ორს ვტოვებდი. მერე კობამ თქვა, იქნებ ამინდი გაფუჭდესო. კარგი-მეთქი, და ერთი „ტუშონკა" დავუმატეთ. მერე რას ვლოცავდით კობას სიტყვებს... როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო თითოეულმა ლუკმამ. მაგრამ მოხდა აბსოლუტურად სხვანაირად...

## „მატროსოვი"

მარშრუტი დავიწყეთ. დაწყება ამ ადგილას ძალიან საშიში, უფრო სწორად, ქვასაშიშია. იმ მონაკვეთს „მატროსოვი" დავარქვით. მატროსოვი უნდა ჩადგეს იქ, სხვა გზა არ არის. ყველაზე ლამაზი ის იყო, რომ უშველებელი ლოდი წამოვიდა, ჩვენამდე რაღაც 70 მ სიმაღლეზე გასკდა და სამად გაიპო. თითოეულზე თითო ქვა წამოვიდა. ბედად აგვცდა სუყველას. მე გვერდით ჩამიშხუილა და შხეფები მომასხა. კიდევ კარგი, ეს ლოდი მოწყდა. ამის მიხედვით ჩვენ შევაფასეთ, სად იყო ქვათაცვენა ისეთი ძალით ცვიოდა ქვები ამ თითქოს დაცულ ადგილას, რომ ცენტრიდანული ძალებით შემაღლებულზე 5-7 მეტრს გორავდა სიმაღლეში მოკლედ, პირველი ღამე მშვენიერად გავათენეთ. მეორე დღეს ტექნიკური სირთულე არ ყოფილა, მაგრამ 600-700 მეტრზე მეტი ვერ გავიარეთ სიმაღლეში. მერე გამოჩნდა ის 250-მეტრიანი ურთულესი მონაკვეთი - ალპური ვერტიკალური კედელი. იმდენად რთული, რომ ყველა გუნდი უვლიდა გვერდს. ამის მერე მიდის 5 კმ ქედი და 800 მ აღმართი შხარაზე - დამაბული, დატვირთული მარშრუტი ბოლომდე. მესამე დღეს ამინდი გაფუჭდა, თოვდა, წვიმდა, ხან მზე გამოდიოდა. სუსხიც იყო, მაგრამ რელიეფზე ვერაფერს გააწყობდი. მეოთხე დღესაც მშვენიერი ამინდი იყო. შევუდექით კედელს, რაღაც მონაკვეთი გავიარე ძალიან რთული საცოცი იყო. ერთი-ორი საათი ვიქაჩირე, მერე კობამ მითხრა, მე შეგცვლიო. გამიკვირდა, კობას არა ჰქონდა იმდენი გამოცდილება ასეთი სირთულის მარშრუტზე, მაგრამ ისეთი შემართებით და ვაჟკაცურად დაიწყო მუშაობა, რომ კარგი პროფესიონალიც ვერ იმუშავებდა. და ეს მაშინ, როცა ამ მონაკვეთზე ყველა ამბობდა, რომ ეს „არ იელება", ან უნდა დაარტყა „შლამბური". „შლამბურს" რას ვეძახით იცი? ხვრეტ კლდეს და სოლივით არტყამ. ასე ნებისმიერი კედელი შეიძლება გახვრიტო, და ყველაფერს გაივლი, თუ კლდე დაანგრიე და დაამუშავე. დღეს მთამსვლელობაში ის ითვლება გავლად, რასაც შენი ხელებით მოახერხებ. იმ სიპ კლდეზე ხანდახან ისეთი „მიზერებია", თითი არ ეტევა. ამ თითებზე დაკიდებულს გიწევს ცოცვა. ჰოდა, კობაში ეტყობა, რაღაც ახალმა პოტენციამ ამოხეთქა, ძალიან კარგად იმუშავა. ეს „ძალიან კარგად" ნიშნავს იმას, რომ იმ დღეს გავიარეთ 60 მეტრი. ეს დიდი მანძილია ასეთი სირთულის კედელზე. თან ერთი მომენტია, რაკი ეს მარშრუტი პირველგავლაა, ჩვენ არ ვიცით, რა გველოდება ზევით. კედელი „ცხვირზე" გადგას. წინასწარ არ იცი, ღირს თუ არა მუშაობის გაგრძელება. შეიძლება, უცებ ხელი მოკიდო და მთელი კედელი მოტყდეს. მოკლედ, ეგ არის, რა უნდა შეაფასო, სად გაიარო და სად არა. თუ არა და, ალპურ კედელს ურტყი თავი და იყავი. ვერაფერს გააწყობ. მარცხნივ საერთოდ „კარნიზებია" გადმოწოლილი. მარჯვნივ რაღაც ბზარი შევნიშნე, იქ შეიძლებოდა ზიგზაგებით გავლა. გადამწყვეტია - კედლის ხედვა, შეფასების უნარი. მაგრამ თავზე გადგას, ვერაფერს გააწყობ, ან გაგიმართლებს, ან არა. ბედიც არის, რა თქმა უნდა. შეიძლება მთელი დღე იმუშავო, გაიარო 100 მეტრი და იმისთანა რამეს წააწყდე, უკან შეიქნეს დასაბრუნებელი. ხოდა, ეს იყო ძირითადი სირთულე, რომ არ ვიცოდით, რა გველოდა წინ. აგვეშალა კარავი და წავსულიყავით. შეიძლება დაგვეღამებოდა. ამ საშინელ ვერტიკალზე ერთი ასეთი ღამე შხარაზე ნიშნავს იმას, რომ ხარ მკვდარი. გაიყინები ორ საათში. მოდის თოვლი, უბერავს ქარი, ვერ გასვლებს. მერე გყინავს. ჭაუხში კიდევ შეიძლება ასეთი რამ, იქ დაბალი მთებია. შხარაზე სიკვდილია. რა ვიცი, ბევრი დაღუპულა ასე.

მეექვსე დღეს სამივემ ვიმუშავეთ მონაცვლეობით. ეხლა, რას ნიშნავს ეს მუშაობა: პირველი კაცი რომ მიდის, არტყამს პალოს კლდეში, რაც უფრო კარგად დაარტყამს, მით უკეთესია მისთვის. მერე მასში ტარდება კარბინი (რკინის მარყუჟი), იმაში, თავის მხრივ, თოკი და ზემოთ აგრძელებს მუშაობას. თუ მოწყდა, ის უკვე ჩაბმულია თოკში. ქვემოთ იდგნენ, თოკი დაიჭიმება და ქვედა დაცვა დაიჭერს მას. ფსიქოლოგიურად ძალიან მძიმეა. არა ხარ გარანტირებული, რომ შენი პალო დაგიჭერს. შეიძლება ნაშალში დაარტყი და ამოვარდეს. შეიძლება თოკი გაწყდეს. შეიძლება ისე მოგახეთქოს კედელზე, რომ არავითარმა დაჭერამ არ გიშველოს. მოკლედ, მეექვსე დღე ასე დაღამდა. კობა მუშაობდა წინ. აზარტში იყო. როგორია, ორი დღე წვალობ და რაღაც გამოდის. კიდევ გააგრძელებდა, მაგრამ 8 საათი გახდა. ამ დროს მზე ჩადის. იქ მაშინ ძალიან ლამაზი კადრი იყო: მოდის ღრუბლები საქართველოდან. შხარა განათებულია წითლად. და რა იყო, იცი, ეტყობა, კედელს ძირში ეჯახებოდნენ ღრუბლები და ზევით მოდიოდნენ რაღაც საოცარი სისწრაფით. თითქოს კინოკადრი იყო. ზევით დგახარ, ქარს ვერ გრძნობ და ქვემოდან ზუზუნით, ალბათ 100 კმ საათში სისწრაფით, მოჰქრიან ღრუბლები. ეს იყო ბოლო სიამოვნება. მეშვიდე დღიდან მოყოლებული ექვსი დღის განმავლობაში იყო საშინელი ამინდი.

ჩვენ პირველ 5-6 დღეს შევჭამეთ 5-6 დღის საკვები. დაგვრჩა 1-2 დღის პროდუქტი. ეს საჭმელი შემდეგ მთელი 11 დღე ვიყოფინეთ. მაშინ არ ვიცოდით, ცხადია, რამდენ დღეზე უნდა გაგვენაწილებინა. იმ დღეს მოდიოდა წვრილი სეტყვა, გაავსო მთელი „საფეხურები". მუშაობა შეუძლებელი აღმოჩნდა. ის კი არა, ხელში რომ გირტყამს ეს „კრუპა", ისიც საშინელებაა. მეორე დღეს დაიწყო ბარდნა. დიდი მძიმე თოვლი და მივხვდით, რომ ვეღარ არის საქმე კარგად. თოვლი რომ მოდის შხარაზე, ეს ნიშნავს, რომ კაი ხნის ამბავია. მესამე დღეს ისევ თოვდა, მაგრამ მე და კობამ ვცადეთ წინ წასვლა. რაღაც 20-15 მეტრი გავიარეთ. შეგვეცოდა. მერე მთის შევასწარით კარავში, ისეთი ქარბუქი ატყდა. მომდევნო დღეს ხან გამოიდარებდა, ხან თოვდა, ჭექა-ქუხილიც იყო. ელვა ურტყამდა. მეხიც ძალიან საშიშია შხარაზე. მაგრამ რკინეულობა, რაც გვქონდა მოშორებით, თოკზე დავკიდეთ რამე რომ ყოფილიყო, იმას დაარტყამდა. თუმცა, ერთი და ორი კარგი ბიჭი კი არ დაღუპულა ასე. ასეთ ყინვაშიც ვცდილობდით გვემუშავა. ხელთათმანებშიც კი ორ-სამ წუთში გვეყინებოდა ხელები. მერე კანი ხორცამდე სკდებოდა და როცა ამ სისხლიან ნახეთქებზე ისევ ყინვა გვსუსხავდა, აუტანელი ტკივილები გვქონდა. ერთ-ორ დღეში ფრჩხილებიდან სისხლისდენა დაგვეწყო. ეტყობა, „პერესაროგლის". ლეიკოპლასტირებით დავიფარეთ თითები. მე-5 დღეს საერთოდ ვერ გავედით კარვიდან. ვიჯექით 24 საათი იმ ერთი ციცქნა „ოთახში" და ისევ და ისევ ერთმანეთს ვუყურებდით. მეტი რა გზა გვქონდა. ის კი არა, ასეთი კითხვებიც კი გაჩნდა: რამდენი პროცენტია გადარჩენის შანსი? ასე იღუპებიან ექსპედიციები? ვხუმრობდით, მაგრამ არცთუ უსაფუძვლოდ. მთელი დღის განმავლობაში ვჭამეთ 1/8 კოლოფი ვერმიშელი თავისი ნახარში წვნიანით. ყოველგვარი ცხიმის გარეშე. მაგრამ ვთვლიდით, რომ საჭმელი გვაქვს.

მთელი დღე კარავში ჯდომა მაგარი დამთრგუნველია. ფსიქოლოგიურად კვდები. გამოცდილებას გარკვეული ფასი აქვს მთაში. 22 წლის კაცი თუ ერთი დღის ტემპერატურას უძლებს, 32 წლისა - 10 დღისას. ეგრეა. ვერაფერს იზამ. თუმცა, ასაკთან ერთად შეიძლება სხვა რაღაც გაკლდება, მაგრამ რაღაცეები გვემატება. თუმცა, ჩუქჩაზე ეს არ ითქმის. მაგან რომ გაუძლო, არ ვიცი... ბევრი 30-ს გადაცილებული აკრუტუნდებოდა მესამე დღესვე. მეექვსე დღეს მე და კობა დილიდანვე „მივაწექით" სამუშაოს. წინა დღეს რაღაც პატარა მარცხი გვქონდა და სწორედ იქ დავიწყეთ მუშაობა.

მე-6 დღის მეორე ნახევარში გამოიდარა, მაგრამ ქუდზე ვეღარ გადავედით. მე-7 დღეს (დღეების ათვლა ახლა ამინდის გაფუჭებიდან დავიწყეთ) დავამთავრეთ ეს რთული კედელი და ქედს შევუდექით. აქ 1974 წლის წერილი მოვხსენით, რომელიც შოთა მირიანაშვილმა დატოვა. 1981 წლის რუსების წერილი კი თვითონ უშგულის მწვერვალიდან მოვხსენით. მათ მერე არავინ ყოფილა. მაგრამ უკვე ძალიან დაღლილები ვიყავით. საჭმელი თითქმის აღარ გვქონდა. სუსტად ვიყავით. ძალიან ნელა ვმოძრაობდით. იმ დღეს სამივემ ერთი ლიმონი ვჭამეთ მხოლოდ. დავიწყეთ დაშვება ჩრდილოეთისკენ. მე-15 დღეს გვქონდა 4-4 მარცვალი ქიშმიში თითოეულს და თითო ვალიდოლი. ვალიდოლი წამალია, მაგრამ წყურვილს კლავს. ბოლო დღეებში ხომ წყალიც აღარ გვქონდა, წყურვილისგან ვეღარც ვლაპარაკობდით, ნაჟური წყალი ვიპოვნეთ და იმას ვსვამდით. გაზიც გაგვითავდა. მე-16 დღეს დავეშვით კავკასიონის ქედს იქით, ორი უღელტეხილი გვაქვს გადასალახი, მკვდრებს ვგავართ, ისე გვეზარება ამ 600-600 მეტრ ყინულზე ჩლახუნი წრიაპებით, ზევით - ქვევით. ღამის 12 საათზე გადმოვედით საქართველოში გავშალეთ კარავი, დავყარეთ და ბიჭებს ვუთხარით რაციით, რომ აქა ვართ. ისიც ვუთხარით, რომ ჩვენ თვითონ მივიდოდით, მაგრამ მაინც გამოიქცნენ, მოგვიტანეს საჭმელი, ჩაი.

## ბოლოჯერ შეგვამოწმა შხარამ

იმ დილას გათოვდა ისევ. ბოლოჯერ შეგვამოწმა შხარამ, რა ბიჭები ხართო. საზვავე სიტუაცია შეიქნა. დავიწყეთ დაშვება. მერე ბიჭები გვეუბნებოდნენ, რომ ისე ნელა მოძრაობდით, შენელებული კადრებივით ჩანდითო. მე კი თავის მხრივ ვუყურებდი მათ და ვფიქრობდი, რა სწრაფად მოძრაობენ, რას დარბიან-მეთქი. იმდენად ვიყავით მოდუნებული, ნელა ვლაპარაკობდით, ნელა ვრეაგირებდით და ა.შ. მოკლედ, 19-ში ჩამოვედით ბარში. 22-ში უკვე თბილისში ვიყავით.

## ლირიული გადახვევა

თითქოს გავიმარჯვეთ. მაგრამ, მეორეს მხრივ ძალიან დიდი ფასი წაიღო შხარამ. 17 დღე ძალიან ბევრია. ერთ კვირაში უნდა მოგვეხერხებინა. პროფესიული თვალსაზრისით, ეს 17 დღე შეიძლება გაუმართლებელ რისკად ჩაითვალოს. მაგრამ ჩვენ მაინც გვჭირდებოდა ეს შედეგი მეორეც: ერთხელ ხომ დავბრუნდით დაზვერვის დროს. მეორედ რომ დავბრუნებულიყავით, მესამედ, არ ვიცი, მოგვილებდა მთა? ამ მომენტში ფაქტიურად მიგვიღო და გაგვიშვა. ერთი კვირა გამოგვცადა და რახან ერთი კვირის მერე ზემოთ წავედით, იდეალური ამინდები მოგვცა. აი, ასე დამთავრდა ეს „მოგზაურობა". სპორტულ ღონისძიებას ხომ ვერა და ვერ დავარქმევ ამას. სპორტი ჩემთვის არასოდეს ყოფილა მთა. არც რომანტიკა. როგორც ამბობენ ხოლმე, ხო ყველაფერი გხვდება ცხოვრებაში - ტკივილი, სიხარული, ლალატი - ყველაფერი. მთაშიც ეგ არის. რა რომანტიკაზეა ლაპარაკი. იქ ის განსხვავებაა, რომ სიკვდილია ახლოს. შეცდომა სიკვდილს უდრის. ამ სიახლოვემ შეიძლება შექმნას რაღაც რომანტიულის შთაბეჭდილება. ეს არის სამყარო, სადაც ყველაფერს თავისი გამძაფრებული ფასი აქვს. ჩვეულებრივი ნაბიჯიც შეიძლება სიცოცხლედ დაგიჯდეს... ეს არის და ეს...

ლელა კოდალაშვილი



ეროვნული ...ოთეკა

# იუმორის გვერდი – წუთიშესვენება

## იუმორისტული ნოველები

მერაბ ბერაძე

### საქმე საქმეზე რომ მიდგება...

ბატონ აკაკი ძიძიგურს, რომელსაც ვფიქრობ, სამართლიანად ვთვლი ჩემი წიგნის თანაავტორად, ბევრი საინტერესო და სასაცილო ისტორია გადახდენია თავს... განსაკუთრებით მანდილოსნებთან დაკავშირებით... მაგრამ ეს, ცხადია, ახალგაზრდობაში, შემდეგ, ცოტა რომ მოხუცდა, რა თქმა უნდა, ისინი ნაკლებად აინტერესებდა და აი, ერთ დღეს, ერთი საკმაოდ ცნობილი პოეტი შეუჩნდა.

– ბატონო, კაკო, ქალები კიდევ გიყვართ?

– რავა, მაგაზეც ლიმიტი ხომ არ არის კაცო? – გაეცინა ძიძიგურს...

– ახლა კი შეხვედით ასაკში, მაგრამ... ბატონო კაკო, გულწრფელად მითხარით...

– ჰო!

– საქმე, საქმეზე რომ მიდგება...

– აი, ჩემო კარგო, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ზუსტად იმ დროს მიდგება... – გადაიხარხარა აკაკი ძიძიგურმა.



### „დედიშენის ხელი“

ტელევიზიაში, რეჟისურის სათავეებთან ერთ-ერთ პირველი ბატონი მერაბ ჯალიაშვილი იდგა და ბევრი საინტერესო ნამუშევარიც შექმნა. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ იგი ავტორი გახლავთ პირველი ქართული სატელევიზიო ფილმისა „დედის ხელი“. ეს ახლა მომრავლდა სატელევიზიო სურათები და სერიალები, თორემ მაშინ, ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ, ფრიად დიდი იშვიათობა გახლდათ... ტელევიზიაში უკვე კარგა ხნის მისული ვიყავი, როცა ბატონ მერაბს ორმოცდაათი წლის იუბილის გადახდა დაუპირეს... მოგეხსენებათ, ამგვარ საღამოებზე ხალხს დარბაზში ეძახიან, იუბილარს კი სხვებთან ერთად ან მარტოს, პრეზიდიუმში სვამენ... ელდარ გიორგობიანი, რომელიც ახლა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა, მაშინ რიგითი რეჟისორი იყო და ამ საღამოს მოწყობა ევალა. ბუნებრივია, იგი გამომსვლელებს არჩევდა, მათ, ვისაც უფლებაც ჰქონდათ და, რასაკვირველია, სურვილიც, რომ იუბილარს მისალმებოდნენ. ელდარმა მთხოვა, მეტისმეტად სერიოზული, ანუ უფრო სწორად, მოსაწყენი საღამო რომ არ გამოვიდეს, იქნება რაიმე იუმორისტული წაიკითხო და ხალხი გახალისდებაო... თავიდან ცივი უარი ვთქვი. ბატონი მერაბი ჩემი ახლო მეგობარი არ არის და ამიტომ ჩემგან სახუმაროდ ნათქვამი იქნება მაინცა და მაინც არ ესიამოვნოს-მეთქი... ვინ მოგეშვა? – დღე ერთი იყო და ათჯერ მეკითხებოდა, რას აპირებ, ხომ იცი, არ მოგეშვებიო... მისი ასეთი მონდომებაც აბსოლუტურად გასაგები იყო – ახალგაზრდა კაცს, ბუნებრივია, თავის შერცხვენა არ უნდოდა და რადგან ვალდებულება აიღო, პირნათლად აპირებდა მის შესრულებას...

საზეიმო თარიღი უკვე ახლოვდებოდა და რადგან ასე დაჟინებით მთხოვდა რაიმეს წაკითხვას, ვუთხარი – ჩემო ელდარ, მოდი, ასე შევთანხმდეთ, მე უკვე მზად მაქვს ჩემი გამოსვლა, რომელიც შეიძლება ვილაც-ვილაცეებს არ მოეწონოთ და ამიტომ დამიწუნონ. თუ შენ შეგიძლია, ყოველგვარი ცენზურის გარეშე მომეცი უფლება გამოვიდე და ჩემებურად მივესალმო ბატონ მერაბს!

– სიამოვნებით! – გაუხარდა მას...

დაიწყო იუბილე. მისალმებები, ყვავილები, მილოცვები. წაიკითხეს სხვადასხვა რესპუბლიკებიდან მოსული დეპეშები და სადღაც შუა წელზე, მე მომცეს სიტყვა. გამოვედი ტრიბუნაზე და მივბრუნდი მერაბისკენ, რომელიც დიდ სავარძელში იჯდა ბედნიერი სახით და ხარობდა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ბატონი მერაბი პირველი ქართული სატელევიზიო ფილმის „დედის ხელის“ დამდგმელი რეჟისორი გახლავთ... ჰო, დავდექი ტრიბუნაზე და ხელი მერაბისკენ გავიშვირე, ზუსტად ისე, პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ლენინი ტანკზე თუ ბეტეერზე რომ იდგა...

შენ პირველი იყავი და
გზები კაფე, ძნელზე ძნელი...
ყველა სხვა ფილმს გვირჩევნია,
მერაბ, დედიშენის ხელი!

დარბაზში სიცილი ატყდა. მე კი ყველაზე უფრო იუბილარის რეაქცია მაინტერესებდა. ჩემდა გასახარად, ბატონმა მერაბმა ყველაზე უფრო გაიხარა და გულში ჩამიკრა...

### ომის დროს...

– შვილო, რეზო, პირველი მსოფლიო ომი შენ საიდან გემახსოვრება და კარგია, რომ არ მოესწარი. საშინელი შიმშილი იყო მაშინ მთელს საქართველოში და განსაკუთრებით ჭიათურაში... ისეთ დღეში იყო ხალხი, ერთმანეთს აღარ ინდობდა. პური სანთლით იყო საძებარი. რა გვექნა? იძულებული ვიყავით ხაჭაპურიდან ყველი გამოგვეყარა და ისე გვეჭამა... აპა!

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



## ინტიმური ნაკვესები

ვახტანგ ჯავრიშვილი

* დიასახლისო! ცხელი გულით მირთმეული ცივი მჭადი სჯობინიან, ცივი გულით მირთმეულ ცხელ მწვადსაო.

* გოგოვ! ეცადე გათხოვდე, სანამ ნორჩობ და ყვავიხარ, თორემ მოვა დრო, შეგბედვენ – მაიმახი და ყვავი ხარ!

* სქესობრივმა ცხოვრებამ ბრძანა – ვინც არ იცავს ჩემსა დოზას, დოზანაში გავგზავნიო.

* ცოლმა ჩაუცინა ქმარს – თურმე რომელიღაც მოშიმშილეს პირი ამოუკერია, და თუ მეც „ამოვიკერე“, მაშინ ნახე შენი შიმშილობაო...

* ხანდაზმულობაში ცოლმა შეახსენა ქმარს – სიბერის აღმართს შეუდექ? სიჩქარე გამოცვალეო.

* ცოლმა ჩაუცინა მწერალს – ჩემს კაბის ბოლოს შეკეცვა მოუხდება, შენს ნაწარმოებს – შეკვეცაო.

* ცოლმა შეუტია ქმარს – შემომფიცე, რომ სხვა ქალებს არ უყურებო, და – შენ თავსა ვფიცავ, რომელ მხარესაც ქალი ჩამივლის, იმ თვალს ყოველთვის ვხუჭავო.

* ცულისა და შვილის გაკეთება იოლია, საქმე წრთობააო.

* შინაბერამ გაიკვირვა – „დაჩვეულსა ნუ მოაკლებ“, კარგია, მაგრამ „დაუჩვეველს ნუ დააჩვევ“, რაღა ჯანდაბააო?!

* რძალმა ჩაიცინა – ანდაზა „ნაბოზარ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო“, მიქარვაა: უკეთეს მაგალითს ვისგან მივიღებო?!

* ერთი ქალბატონი თურქეთს ნატვრით ესტუმრა და... „ნატურით“ ივაჭრაო.

* ტრიკომ ინატრა – ნეტავ კაცები ისეთივე გულმოდგინებით მაცმევდნენ, როგორი გულმოდგინებითაც ჩამხდიან ხოლმეო.

* დედიკო! ჩვენი მამალი დედალსა ზურგზე შეაჯდა, ტალახიანი ფეხები გაიწმინდა და ჩამოვიდაო.

* ანდაზამ „რძალსა და დედამთილს შუა „კაცისა“ დაიკარგაო“, ჩაიცინა – ასეთ ქურდობას არც რძალი ითაკილებდა და არც დედამთილიო.

* ქორწილი რომ ორ დღე-ღამეს გაგრძელდა, დედოფალმა წასჩურჩულა ნეფეს – თუ მაორსულებ, დამაორსულე, თუ არა და მეძინებაო.

* პატარძალმა დაასკვნა – დღე, საქმესთან კვნესას, ღამე, ქმართან ხვნეშა მირჩევნიანო.

* თუ არ დაგათრო, ღვინოც მიჰქარავს და ქალიცაო.

* უგულო არც ქადა ვარგა და არც სიყვარულიო.

* ცოლმა ისარგებლა, რომ ქმარი ღიღინებდა და – შენს „სმენას“ ვენაცვალეო.

* ჩემი ქმრისათვის ფიქრითაც არ მიღალატია, ამ ნაბიჯს ყოველთვის დაუფიქრებლად ვდგამდი ხოლმეო...

* ბატები როგორ არ მიყვარდეს იხვებზე: საყვარელი რომ ეზოში შემოიპარება, იხვები ასტეხავენ ხოლმე „ვიტყვი-ვიტყვიო“, ბატები კი უტევენ „სუსუო“.

* რითი სჯობიან კაპას ცოლს კოჭლი ცოლიო, და – ის ლოგინში მაინც არა კოჭლობსო.

* შეზარხოშებული სიძე რომ სახლში დაბრუნდა – ცოლო, კარები გამიღე, სიდედრო მიკეტეო...

* შინაბერას უთხრეს – არის ქვეყანა, სადაც ექვსი თვე ღამეაო, და – ნეტავ იმ ქვეყანაში გამათხოვაო.

* უმამოდ დარჩენილი ოჯახი გაიბზარა, უდედოდ – დაინგრაო.

* ერთი კაცი იმდენად მიჩვეული იყო „ჩემი შენსას სჯობიაო“, რომ ცოლსაც კი წაუტრაბახა – „ჩემი ცოლი შენ ქმარს სჯობიაო“.

* დედამთილმა მოახსენა რძალს – მეზობელი ქორწილში გიხმობსო, და – რასა ბრძანებთ, ბატონო, ჩვენი ოჯახიდან უპირველესად თქვენა ხართ გასახმობიო.

* ზოგი კაცი აუწონელი პატიოსნებით ამაყობს, ზოგი ვერც „აწონილი სიტყვითაო“.

* პატარძალმა ჩაუცინა ქმარს – წისქვილისა ერთი რამ არ მომწონს: ზედა ქვა რომ ხტუნვა-ხტუნვაშია, ქვედა ქვა რატომღაა გატრუნულიო?!

* ლოგინმა ჩაუნდაზა – ცოლქმრის დილის ზვავიო, საღამოთი – ზავიო.

* „სტაჟიან“ ბოზს რომ განუმარტეს, „სქესობრივი აქტის დროს მამალ ფუტკარს სასქესო ორგანო წყდება და კვდებაო“, ჩაიცინა – ეგ ამბავი რომ ჩვენშიც იყოს, ერთი სასაფლაო მარტო ჩემგან იქნებოდა ჩახუჭუჭებულიო.

* დედინაცვალმა იხუმრა – დედას როგორ არა ვჯობივარ: დედის გინება გამიგია და დედინაცვლისა – არაო.

* ვაი ცოფმორეულსა და ვუი ცოლმორეულსაო.

* – ნეტავი გამაგებინა, რასა იქს ჩვენი პრესაო?!
ალალი კვლავაც ალალობს, არამი... დაიპრესაო!

## პოლიციის მხრიდან ისევ ირღვევა ადამიანის უფლებები

გუშინ საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა ვ.ქობალიას, ჯ.ბოკუჩავას, ზ.ძიძიგურის (რომლებზეც პროკურატურამ მოითხოვა სასიკვდილო განაჩენის გამოტანა) და ნ.მოლოდინაშვილის ადვოკატთა მოსმენა. განსასჯელთა ნათესავებმა მასზე დასწრების სურვილი გამოთქვეს. ლოთი ქობალიას ნათესავები დარბაზში არ შეუშვეს იმ საბაბით, რომ დარბაზი გადატვირთული იყო. როგორც პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტის პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ე.თევდორაძემ განაცხადა, ამ ფაქტმა ნათესავების მძაფრი რეაქცია გამოიწვია, რომელიც მათი არაეთიკური ქმედებებით გამოვლინდა. სამწუხაროდ, ამან უფლება მისცა მთაწმინდის პოლიციას, დაეკავებინა ქობალიას ახლო ნათესავები და ისინი მთაწმინდის პოლიციის განყოფილებაში წაეყვანა. აღნიშნულთან დაკავშირებით ე.თევდორაძემ მიმართა ქალაქის პოლიციის შეფს დ.მიქაძეს, რომელმაც ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, გასცა განკარგულება მათი განთავისუფლების შესახებ. ე.თევდორაძის თქმით, მსგავსი ფაქტი ადამიანის უფლებათა დარღვევას ნიშნავს. „რა თქმა უნდა, არავის არა აქვს ქალაქში წესრიგის დარღვევის უფლება, მაგრამ ამ შემთხვევაში პოლიციას დავალებული ჰქონდა სასამართლო დარბაზამდე ამ ხალხის მიცილება და მათი რაიმე შეურაცხყოფისაგან დაცვა" – განაცხადა მან.

იპრინდა



## ჯაბამ ლექსების წერა დაიწყო

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, პატიმრობაში მყოფმა ჯაბა იოსელიანმა ციხეში კიდევ ერთი რომანის წერა დაასრულა, რომლის დასახელებაც მას ჯერ არ მოუფიქრებია. რომანის გარდა ჯაბა იოსელიანმა ლექსების წერაც დაიწყო. იგივე წყარო იტყობინება, რომ პატიმრობაში იგი თავს კარგად გრძნობს, კერძოდ, პატიმარი ორადგილიან საკანში იმყოფება.

იპრინდა

## საქართველოს პრეზიდენტს ბრალს დებენ

საქართველოს პრეზიდენტს სპეციალური წერილით მიმართეს რფ-ს სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა და ცნობილმა მოღვაწეებმა, რომლებიც ბრალს დებენ საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეების მიმართ რეპრესიების გატარებაში და მოითხოვენ მათთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის გაუქმებას.

იბერია

## კოდორის ხეობაში, მდ. ლაფას მიდამოებში კონცენტრირებულნი არიან აფხაზური შეიარაღებული ფორმირებები

სააგენტოს კორესპონდენტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოდან აცნობეს, რომ ამჟამად, კოდორის ხეობაში, ლტოლვილთა ჩათვლით, ცხოვრობს 3.200 ადამიანი. კოდორის ხეობას ნაწილობრივ აკონტროლებს საქართველოს პოლიცია. მაგრამ მდ. ლაფას მიდამოებში კონცენტრირებულნი არიან აფხაზური შეიარაღებული ფორმირებები, რომელთაც გააჩნიათ საარტილერიო სისტემები. თუმცა, სამშვიდობო ძალთა შემოსვლის შემდეგ, მათ ამ საარტილერიო სისტემებით აღარ დაუბომბავთ ქართული სოფლები. მიუხედავად ამისა, საშიშროება კვლავაც არსებობს, რადგან რფ-ს სამშვიდობო ძალებთან აფხაზ სეპარატისტთა ფორმირებათა ხელმძღვანელობას კარგი ურთიერთობა აქვს.

იბერია

## ბრუნერი კატეგორიულად უარყოფს

გუშინ პარლამენტის საღამოს სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ.ბურდულმა, გაეროს წარმომადგენლის ე.ბრუნერის მოსაზრებებთან დაკავშირებით ინფორმაცია გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, იგი თავად დაუკავშირდა ტელეფონით ე.ბრუნერს, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება. ბრუნერმა კატეგორიულად უარყო ინტერფაქსისა და რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია. მისი თქმით, ჟურნალისტებთან საუბრისას მან იგივე თქვა, რაც ე.შევარდნაძესთან შეხვედრის დროს. კერძოდ, „თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის ყველა მცხოვრები, ვისაც კი ხმის მიცემის უფლება აქვს, არჩევნებს დასჭირდება საერთაშორისო მონიტორინგი". როგორც ბრუნერმა განაცხადა, აღნიშნული სააგენტოების ჟურნალისტებმა შესაძლოა გარკვეული ძალების პოზიცია გამოხატეს, ან სასურველი სინამდვილედ გადმოსცეს. თუმცაღა, ბრუნერმა უარი თქვა ოფიციალურად ამ ფაქტის უარყოფაზე და განაცხადა, რომ ამას გაეროს სამდივნო გააკეთებს. გ.ბურდულის თქმით, ქართული მისია მოითხოვს ამ ინფორმაციის წერილობით უარყოფას.

იპრინდა

## ზ.კერვალიშვილს ყვითელი ბარათი ამოუღეს

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე 1991–95 წლებში მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოცემული აქტების კანონიერების შემოწმებისას, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო აპარატმა არაერთხელ მიიწვია ყოფილი ვიცე-პრემიერი ზ.კერვალიშვილი განმარტების ჩამოსართმევად, რასაც იგი შეგნებულად არიდებდა თავს. საქართველოს პროკურატურის პრეს-ცენტრის განცხადებით, თუ ზ.კერვალიშვილი კვლავ არ გამოცხადდება პროკურატურაში, განხორციელდება იძულების წესით წარმოდგენის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

იპრინდა

## ხელკეტებით დაარბიეს აქციის მონაწილენი

როგორც ადრე ვიუწყებოდით, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანებას „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" გუშინ, რუსეთის საელჩოს შენობის წინ დაგეგმილი ჰქონდა მშვიდობიანი საპროტესტო აქციის ჩატარება მოთხოვნით – რუსეთის საოკუპაციო ჯარმა დაუყოვნებლივ დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

აქციის ჩატარებამდე ერთი საათით ადრე, სააგენტოს კორესპონდენტი დაუკავშირდა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსს დ.მიქაძეს, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ არ დაუშვებდა აღნიშნული აქციის ჩატარებას, რისთვისაც მობილიზებული იქნებოდა პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმები (აქციის დაწყებამდე აღნიშნული ქვედანაყოფები უკვე იცავდნენ რუსეთის საელჩოს შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიას). დ.მიქაძის თქმით, აქციის ჩატარება მათ შეეძლოთ „დედა ენის" ძეგლთან, რაშიც პოლიცია თვითონ გაუწევდა დახმარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ქალაქში გზების გადაკეტვისა და წესრიგის დარღვევის უფლებას არ მისცემდა.

15 საათზე აქციის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა (20 კაცი) პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც მიაღწია საელჩომდე. მათ ხელში ეჭირათ რუსულ და ინგლისურ ენაზე დაწერილი პლაკატები – საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის მოთხოვნით.

პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმებმა (დაახლოებით 70 პოლიციელი, 31 ომონელი) განკარგულების მიღებისთანავე რეზინის ხელკეტებით დაარბიეს აქციის მონაწილეები. რამდენიმე კაცი დააკავეს. დარბეული აქციის მონაწილეები უზენაესი სასამართლოს შენობისაკენ გაემართნენ, სადაც ვ.ქობალიას სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

იპრინდა



თარაზულად: 5. ეკლესიის მსახური; 6. ბრალდებულის დამცველი; 7. მომავალი მეუღლის მოლოდინის გემო; 8. ლვთის მოციქული – უსხეულო არსება; 10. ოპტიკური ხელსაწყო; 12. სინონიმი სიტყვებისა „სხვა", „სხვაგან" მოხეურ კილოზე; 14. ზოგადი სახელწოდება შხამსაწინააღმდეგო ნივთიერებისა, რომელიც შხამით მოწამვლისას გამოიყენება; 16. უნგრელი მწერალი; 17. ამერიკული სიგარეტი; 18. წლის ბოლო თვე ებრაელთა რელიგიური კალენდრით – დაახლოებით აგვისტო- სექტემბერი; 19. ჭურჭელი; 20. შტატი ამერიკაში; 22. თმის, ფრჩხილების შესაღები მოწითალო ყვითელი საღებავი; 23. პატარა ნივთი, რომელსაც ცრუმორწმუნეები გულზე იკიდებენ; 27. სახელისა და გვარის, სახელისა და მამის სახელის პირველი ასო; 28. ქართველი მარშალი; 29. გემის, თვითმფრინავის და მისთანების ტარების სპეციალისტი; 30. ქართული ხალხური ცეკვა.

შვეულად: 1. ელექტრომანქანის უძრავი ნაწილი; 2. ზოგი სპორტული გუნდის სახელწოდება; 3. ქალაქი ჩინეთში; 4. ვინც ორნაქმარებ, უშვილო სადედინაცვლოს დაეძებდა (ქართული მოთხრობა); 7. სტუმრისათვის მირთმეული საჭმელ-სასმელი; 9. ნივთიერება, რომელიც არ ატარებს ელექტროენერგიას; 10. ცხენებშებმული უძრავი საზიდარი; 11. მდინარე ჩინეთში; 12. წყალში უხსნადი ორგანული ნივთიერება; 13. ბერძნული ასო; 14. მევენახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება (არსებობს მისი სახელობის ღვინოც); 15. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 21. ქართველი მოქანდაკე, ოქრომჭედლ-მკვეთელი, ფერმწერი; 24. ციხესიმაგრე – არაგვის ერისთავთა რეზიდენცია; 25. სისხლის თეთრი ბურთულების წარმომშობი ორგანო; 26. თევზი – რეწვისა და სპორტული ჭერის ობიექტი.

გიორგი გასიტაშვილი

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ინსტინქტი; 8. ყმა; 10. სპერი; 11. ფორმა; 12. გრიგი; 13. პეტრე; 14. შინდი; 16. ანინა; 17. რაო; 20. შუშაბანდი; 21. ბეუეი; 22. შალიაპინი; 26. ძია; 28. არაკი; 29. ვოლტი; 30. ლავრა; 31. კუიცი; 32. ჯაყვა; 34. ადიკო; 35. სერ; 38. ბივშტექსი.

შვეულად: 1. ბასა; 2. აზიამი; 3. მაქო; 5. კოპერნიკი; 6. ბუმერანგი; 7. ბრიგადა; 9. ხომეინი; 15. კარბიურაცია; 18. უშობელი; 19. ინციზია; 23. კორვალანი; 24. მოტოციკლი; 25. მკერივი; 27. ვიევოდა; 33. ცენტრი; 36. ავზი; 37. უქმე.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ.
№06/4-444